დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(ა(ა)იპ - ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზია)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნოდარ ანგურიძე

წევრები:

სოფიკო ბოქოლიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ხათუნა ნოზაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნიკა უთალიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ელენე გაფრინდაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მადონა ბობოხიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლაშა სარალიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ხათუნა ქერაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
გიორგი კოპლატაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნათია კოხოძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სკოლაა(ა)იპ - ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზია
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	218082848

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი გორი
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი გორი, სამეფოს ქუჩა N5
საფოსტო ინდექსი	4900
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://www.gmgimnazia.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	gori.gimnazia@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	0370 270432

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 28 აპრილის MES 4 26 0000496769
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 28 და 29 მაისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	პროგრამა ხორციელდება ერთ მისამართზე, 3 შენობა-ნაგებობაში ქალაქი გორი, სამეფოს ქუჩა N5
2	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	პროგრამა ხორციელდება ერთ მისამართზე, 3 შენობა-ნაგებობაში ქალაქი გორი, სამეფოს ქუჩა N5
3	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	პროგრამა ხორციელდება ერთ მისამართზე, 3 შენობა-ნაგებობაში ქალაქი გორი, სამეფოს ქუჩა N5

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

დაწესებულებაში ვიზიტი დაიწყო დღის წესრიგით განსაზღვრულ დროს 10:00. ვიზიტზე ერთდროულად მივედით თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ექსპერტი და განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის თანამშრომელი.
სკოლაში მისულებს სკოლის წარმომადგენელმა გვიჩვენა ჩვენთვის გამოყოფილი სამუშაო სივრცე. გარდა ამისა, სკოლამ საგნობრივ ექსპერტებთან დისტანციურად ჩართვისთვის გამოყო ცალკე სივრცე. ვიზიტის მეორე დღეს დავათვალიერეთ სკოლის შენობა. ვიზიტი ორივე დღეს წარიმართა მშვიდ და თანამშრომლურ გარემოში. დღის წესრიგით განსაზღვრული აქტივობები განხორციელდა ისე, როგორც იყო დაგეგმილი. საგნობრივ ექსპერტებთან მასწავლებლების გასაუბრება ხდებოდა შეთანხმებული განრიგის მიხედვით. მეორე დღის ბოლოს სკოლის წარმომადგენლებთან ერთად შევაჯამეთ გავლილი ვიზიტი, გავაცანით მიგნებები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
600	554	*620*

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლა წარმოადგენს 1817 წელს გორის სასულიერო სემინარიის მემკვიდრეს და მისი საქმიანობის გამგრძელებელს, რომელიც 1917 წლამდე ფუნქციონირებდა. სასწავლებელი ხელმეორედ გაიხსნა 2006 წელს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გიმნაზია და ახორციელებდა მხოლოდ დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას. ამ წელს სასწავლებელში სწავლა დაიწყო 83 მოსწავლემ. 2007 წელს გიმნაზიამ მიიღო საბაზო და საშუალო საფეხურზე საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზია.

2010 წლიდან გიმნაზიამ სამართლებრივი სტატუსი შეიცვალა – დაფუძნდა როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. ამავე წლის ივლისში ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზიისთვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გასცა ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის გენერალური ლიცენზია. 2012 წელს გიმნაზიამ პირველ კურსდამთავრებულები გამოუშვა. ხოლო 2015 წელს პირველად გაიარა ავტორიზაციის პროცესი.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: ----620------	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)**	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2.1	*დაწყებითი საფეხური*	***ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური*** **რჩევა:** *სასურველია, საგნობრივ კათედრებზე განისაზღვროს კურიკულუმების ერთგვაროვანი ფორმატი და სტრუქტურა. კურიკულუმებს დაამატონ შემოქმედებითი დავალებები.*
ინდიკატორი 2.1.2.1	*დაწყებითი, საბაზო და საშუალ საფეხური*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** ***რჩევა:*** *სასურველია, აქცენტი გაკეთდეს საბაზო და საშუალო საფეხურზე თემის ფარგლებში მეტი კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით.* *ასევე, განახორციელონ შემაჯამებლების მრავალმხრივ საინტერესოებისა და მრავალფეროვნების მიზნით სხვადასხვა ტიპის დავალებები.* *დაწყებით საფეხურზე სასურველია კურიკულუმში თვალსაჩინოების ჩამონათვალი, ან გამოყენებული რესურსები უფრო მრავალფეროვანი იყოს.*
ინდიკატორი	*დაწყებითი, საბაზო და საშუალ*	***უცხოური ენები***

2.1.2.1	*საფეხური*	***რჩევა:*** *სასურველია ყველა კურიკულუმში იყოს მოცემული საათების რაოდენობა, რომელი თემის ფარგლებში რა სათობრივ დატვირთვას საჭიროებენ.* *სასურველია პროექტი და შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელი დავალება იყოს გამიჯნული ერთმანეთისგან, მაგალითად დასათაურება ,, Prepare a poster about a desert " ეს მიეკუთვნება კომპლექსური ბუნების ტიპის დავალებას .* *სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩასწორდეს ინფორმაცია გერმანული ენის სწავლების შესახებ, რომ გერმანული ისწავლება ყველა საფეხურზე და არა მხოლოდ დაწყებით საფეხურზე.*
	დაწყებითი და საბაზო საფეხური	***სახელმწიფო ენა*** ***რჩევა:*** *სასურველია, ძველი ქართული ენის კურიკულუმებშიც სკოლამ სრულყოფილად ასახოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები და შეიმუშაოს უფრო სრულყოფილი ჩარჩო- დოკუმენტები.*
ინდიკატორი 2.1.2.1	*დაწყებითი და საბაზო საფეხური*	***მათემატიკა*** ***რჩევა:*** *სასურველია რომ კურიკულუმშივე ჩანდეს დაწყებით და საბაზო საფეხურზე სამიზნე ცნებებთან მიმართებით რომელ ქვეცნებებს ამუშავებს მასწავლებელი, და რა ძირითად ორიენტირს აკეთებს სწავლების დროს რათა კურიკულუმები გახდეს უფრო მოქნილი და ადვილად აღსაქმელი.*

ინდიკატორი **2.1.2.2**	*დაწყებითი, საბაზო და საშუალ* *საფეხური*	***უცხოური ენა*** *სასურველია საათების რაოდენობა ყველა ენის კურიკულუმში იყოს გათვალისწინებელი.* • *პირველი კლასის ინგლისური ენის კურიკულუმში, სასურველია ჩანდეს ცნება ტექსტი.* • *სასურველია ინგლისური ენის საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმში ცნებები იყოს შემდეგნაირად ფორმულირებული: ჟანრი, სამეტყველო ქმდება, ენობრივი საშუალება, კულტურატა დიალოგი.* • *ინგლისურ ენის კურიკულუმებში სამივე საფეხურზე, სასურველია იყოს დაკონკრეტებული, დასათაურებული, რა პროდუქტს ქმნის მოსწავლე.* • *სასურველია რუსული ენის მე - 5 კლასის კურიკულუმში მოცემული იყოს კომპლექსური დავალების იდეა.* • *სასურველია მე - 5 და მე - 6 კლასის რუსული ენის კურიკულუმში დამატებული იქნეს ცნება კულტურათა დიალოგი.* • *სასურველია მე - 7 , მე - 8 , მე - 9, მე - 10, მე - 11 , მე - 12 კლასის რუსული ენის კურიკულუმში ცნება ტექსტი შეიცვალოს ცნება ჟანრით.* • *მე - 5 და ე - 6 , მე - 9 კლასის გერმანული ენის კურიკულუმში სასურველია ჩანდეს რესურსების ჩამონათვალი კონკრეტულ თემებთან მიმართებაში.* • *სასურველია მე - 10 კლასის გერმანული ენის კურიკულუმში მოცემული იყოს ცნება კულტურათა დიალოგი.* • *სასურველია ტექნიკური ხარვეზები არ ჰქონდეს ფაილებს,*

		არ იხსნება გერმანული ენის მე -8 და მე - 11 კლასის კურიკულუმები.
ინდიკატორი **2.1.2.2**	*დაწყებითი საფეხური*	***ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური*** ***რჩევა:*** *სასურველია, თუ საგნობრივ კურიკულუმებში სამიზნე ცნებებთან ერთად გაწერილი იქნება ქვეცნებები და საკითხები. კარგი იქნება თუ, ოთხივე საგნის კურიკულუმში წარმოადგენენ აქტივობებს, რომელსაც იყენებენ შემოქმედებითი დავალების შესრულებამდე.*
ინდიკატორი **2.1.2.3**	*დაწყებითი საფეხური*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** ***რჩევა:*** *სასურველია დაწყებითი საფეხურის (მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველო) კურიკულუმებში ასახული იყოს დამატებითი ელექტრონული რესურსები.*
ინდიკატორი **2.1.2.3**	*დაწყებითი და საბაზო საფეხური*	***უცხოური ენები*** ***რჩევა:*** *მე - 5 და ე - 6 , მე - 9 კლასის გერმანული ენის კურიკულუმში სასურველია ჩანდეს რესურსების ჩამონათვალი კონკრეტულ თემებთან მიმართებაში.*
ინდიკატორი **2.1.2.3**	*დაწყებითი და საბაზო საფეხური*	***მათემატიკა*** ***რჩევა:*** *კურიკულუმის გადამუშავებისას, პირველ რიგში, რესურსების მრავალფეროვნებაზე გაკეთდეს უნდა აქცენტი. ასევე*

		ლინკების სახით უნდა გამოიკვეთოს თუ რა სახის მასალას იყენებს მასწავლებელი, რაც უფრო მეტი სახის რესურსს გამოიყენებთ, სასწავლო პროცესი მით უფრო საინტერესო გახდება, რაშიდაც კათედრის ფუნქციური მუშაობა დაეხმარება მასწავლებლებს. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება არის გასამახვილებელი ***დაწყებით და საბაზო საფეხურზე.***
ინდიკატორი **2.1.2.3**	*დაწყებითი საფეხური*	***ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური*** ***რჩევა:*** *სასურველია, ყველა საგნობრივ კურიკულუმში საგნობრივმა კათედრებმა ერთნაირად უზრუნველყოს სასწავლო რესურსების მრავალფეროვნება და შეიმუშაოს მათი მითითების საერთო წესი .*
ინდიკატორი **2.1.2.4**	*საბაზო და საშუალო საფეხური*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** ***რჩევა:*** *სასურველია სკოლამ წარმოადგინოს დოკუმენტალურად დიფერენცირებულად სწავლების ამსახველი დოკუმენტი. მასწავლებლებთან პირისპირ შეხვედრისას მოვისმინეთ ზეპირსიტყვიერად როგორ ხორციელდება დიფერენცირებული მიდგომები (საბაზო და საშუალო საფეხური)*
ინდიკატორი **2.1.2.4**	*დაწყებითი, საბაზო და საშუალ საფეხური*	***უცხოური ენა*** ***რჩევა:*** ***ინგლისური ენა*** • *დაწყებითი და საშუალო საფეხურის წარმოდგენილ ინდ. გეგმებში სასურველია გაწერილი იყოს დროის რა მონაკვეთში ხდება მიზნის მიღწევა და მიზნის მისაღწევი*

		აქტივობები, ასევე სასურველია გაწერილი იყოს აქტივობები კონკრეტულ თემებთან და საკითხებთან მიმართებაში. ***რუსული ენა;*** ● *სასურველია რუსული ენის მე - 11 კლასის ინდ. გეგმაში ცნება ტექსტი შეცვლილი იყოს ცნება ჟანრით. ამავე ინდ. გეგმაში მოცემული იყოს დროის რა მონაკვეთში აღწევს მოსწავლე დასახულ მიზანს, აღწერილი იყოს მიზნის მისაღწევი აქტივობები* ● *სასურველია რუსული ენის მე - 9 კლასის ინდ. გეგმაში ცნება ტექსტი შეცვლილი იყოს ცნება ჟანრით. ამავე ინდ. გეგმაში მოცემული იყოს დროის რა მონაკვეთში აღწევს მოსწავლე დასახულ მიზანს, აღწერილი იყოს მიზნის მისაღწევი აქტივობები, თავისი ცნებებით.*
ინდიკატორი **2.1.2.4**	*დაწყებითი საფეხური*	***ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური*** ***რჩევა:*** *სასურველია, თუ საგნობრივი კათედრები ოთხივე საგნის კურიკულუმში შეიტანს დიფერენცირებული სწავლების პრინციპებით შემუშავებულ აქტივობებს.*
ინდიკატორი **2.1.2.5**	*დაწყებითი საფეხური*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** ***რჩევა:*** *მე-3, მე-4 კლასი შეფასებაში მუშავდება ერთი სამიზნე ცნება, მე- 5 კლასი კონკრეტული პროდუქტის განმსაზღვრელი შეფასება. სასურველია ასევე, კათედრამ შეიმუშავოს მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემები. (დაწყებითი საფეხური)*

ინდიკატორი **2.1.2.5**	*დაწყებითი, საბაზო და საშუალ* *საფეხური*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** **რჩევა:** *სამივე საფეხურის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები შინაარსობრივად მოარგეთ შესაბამის ქულას;*
ინდიკატორი **2.1.2.5**	*დაწყებითი, საბაზო და საშალ* *საფეხური*	***მათემატიკა*** ***რჩევა:*** *კარგი იქნება, თუ შეფასების რუბრიკები კიდევ უფრო კონკრეტული გახდება, ამასთან ყურადღება უნდა გამახვილდეს გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე, რაც ნაკლებად შეინიშნება ამჟამად მოწიოდებულ დოკუმენტაციაში. (დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხური)*
ინდიკატორი **2.1.2.5**	*დაწყებითი საფეხური*	***ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური*** ***რჩევა:****სასურველია საგნობრივმა კათედრებმა შეიმუშაონ მოსწავლეთა თვითშეფასების, ურთიერთშეფასებისა და დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტები.*
ინდიკატორი **2.2.1.1**	*დაწყებითი საფეხური*	***ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური*** ***რჩევა****: სასურველია მოეწყოს I-IV კლასის მასწავლებლების მეტი შეხვედრა და კურიკულუმების საერთო განხილვა. ეს ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის მეტ თანმიმდევრულობასა*

		და მოსწავლეებზე ორიენტირებულობას.
ინდიკატორი **2.2.1.3**	*საბაზო და საშუალო საფეხური*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** **რჩევა** - *სასურველია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებული იყოს შედეგების მიღწევის ინდიკატორები და მოხდეს საკითხთან მიმართებით დაკონკრეტება. შეიმუშაოს შეფასების ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება სწავლების მიზნებსა და თემატურ შინაარსს. სასურველია პერიოდულად მოხდეს შეფასების რუბრიკების რეაქტუალიზაცია სწავლების პრაქტიკიდან გამომდინარე და კათედრის წევრებთან ერთად განხილვა, რათა შეფასება კიდევ უფრო ინფორმატიული და ეფექტური გახდეს მოსწავლეთა პროგრესის შესაფასებლად. (საბაზო და საშუალო საფეხური)*
ინდიკატორი **2.2.1.3**	*დაწყებითი, საბაზო და საშუალ* *საფეხური*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** ***რჩევა:*** *სასურველია სამივე საფეხურის განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმების შინაარსი ქულების გრადაციასთან იყოს მეტად შესაბამისობაში.*
ინდიკატორი **2.2.1.3**	*დაწყებითი, საბაზო და საშუალ* *საფეხური*	***მათემატიკა*** ***რჩევა:*** *სასურველია, შეფასების რუბრიკები წინასწარ შემუშავდეს და თემის დაწყებისთანავე გაეცნოთ მოსწავლეებს. ასევე, მნიშვნელოვანია, კრიტერიუმები იყოს მარტივი, გასაგები და*

		მოსწავლეებისთვის ადვილად აღსაქმელი. განსაკუთრებული ყურადღება არის მისაქცევი გრძელვადიან სამიზნე ცნებების გააქტიურებას. (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური)
ინდიკატორი **2.2.2.1**	*დაწყებითი და საბაზო საფეხური*	***მათემატიკა*** ***რჩევა:*** *სასურველია მოხდეს ისეთი დამხმარე სახელმძღვანელოს არჩევა, რომელიც ძირითად რესურსთან ერთად მოსწავლეებში უფრო მეტ ჩართულობას უზრუნველყოფს, ამასთან სხვა სასწავლო რესურსიც იქნას შერჩეული და ასახული კურიკულუმებში, რათა მრავალფეროვან ვიზუალური თუ სხვა სახის მასალით მოხდეს პროცესების დიფერენცირება. (დაწყებითი და საბაზო საფეხური)*
ინდიკატორი **2.2.2.1**	*დაწყებითი საფეხური*	***ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური*** ***რჩევა:*** *სასურველია, კურიკულუმებს დაამატონ რესურსები.*
ინდიკატორი **2.2.2.2**	*საბაზო და საშუალო საფეხური*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** ***რჩევა:*** *სასურველია რესურსების შერჩევის პროცესში პერიოდულად გამოიყენონ მოსწავლეთა უკუკავშირი, რათა უფრო ზუსტად განისაზღვროს მათ საჭიროებებზე ორიენტირებული მასალა და დაინერგოს მრავალფეროვანი, აქტუალური რესურსების გამოყენება. (საბაზო და საშუალო საფეხური)*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაზიარებულ იქნა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია ექსპერთა მიერ გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, შედეგად 3.1.2.3. ინდიკატორი სრულად დაკმაყოფილდა, რადგან სკოლამ წარმოადგინა თანამშრომლებზე გაცემული, კანონმდებლობით მოთხოვნილი სავალდებულო ცნობები; ასევე გაითვალისწინა სასკოლო შიდა დოკუმენტების მოწესრიგებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები და ინდიკატორები 3.1.2.6. და 3.3.1.4. გადავიდნენ სრულ შესაბამისობაში, რადგან სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი სასკოლო დოკუმენტაცია. გარდა ამისა სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რჩევა 3.4.1.3. ინდიკატორთან დაკავშირებით და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია ასახე სკოლის ვებგვერდზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას *გააზრებული* აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის 2024 სასწავლო წლის 31 მაისის N 03/15 ბრძანების დანართის თანახმად, დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმაში განხორციელდა ცვლილებები. ცვლილების თანახმად, სკოლის მისიაა სწავლისათვის კეთილგანწყობილი, დადებითი გარემოს შექმნა, რათა აღზარდოს ზნეობრივად, სულიერად, ფიზიკურად და ინტელექტუალურად განვითარებული, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების მქონე, გულისხმიერი და შემწყნარებელი მართლმადიდებელი ქრისტიანი ახალგაზრდა, რომელიც თავის ცოდნასა და შესაძლებლობებს მოახმარს პირად და ეროვნულ მიზნებს. ხოლო, სკოლის მომავლის ხედვაა სკოლა-გიმნაზიამ მოზარდს ჩამოუყალიბოს ქრისტიანული ცნობიერება, ასწავლოს ოჯახის მართლმადიდებლური ტრადიციების პატივისცემა და სამშობლოს სიყვარული, განუვითაროს უნარ-ჩვევები ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვისთვის, ასევე, არაფორმალური განათლების გაძლიერების მიზნით მოსწავლე გაეცნოს და ეზიაროს ქრისტიანული ქვეყნების ისტორიას, კულტურასა და ტრადიციებს.
ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის მისია და ხედვა სრულად შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. 2024 წლის 29 მაისის N 03/15 ბრძანების (მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად) საფუძველზე, დაწესებულების რექტორმა მიმართა ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების სამუშაო ჯგუფს (ბრძანება N 03/22) რათა გადახედილიყო არსებული დოკუმენტები და საჭიროებისამებრ, განესაზღვრათ ცვლილების საჭიროება, ასევე, მოეხდინათ შესაბამისობა ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან, რაც ასახულია სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილ ოქმებსა და დოკუმენტაციაში.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზია მისიისა და ხედვის თანახმად მთლიანად პიროვნულ და სულიერ განვითარებაზე ორიენტირებული დაწესებულებაა, რომელიც აქცენტს აკეთებს სწავლისათვის კეთილგანწყობილი, დადებითი გარემოს შექმნაზე, რათა აღზარდოს ზნეობრივად, სულიერად, ფიზიკურად და ინტელექტუალურად განვითარებული, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების მქონე, გულისხმიერი და შემწყნარებელი მართლმადიდებელი ქრისტიანი ახალგაზრდა, რომელიც თავის ცოდნასა და შესაძლებლობებს მოახმარს პირად და ეროვნულ მიზნებს. სკოლის ფილოსოფიით განსაზღვრულია ისეთი გარემოს შექმნა, რომელშიც სასკოლო საზოგადოებისთვის უზრუნველყოფილია ფსიქოლოგიურად უსაფრთხო, ურთიერთპატივისცემასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროცესი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სასკოლო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველსაყოფად ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის მისიის, ხედვის ღირებულებების შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მე10- მუხლისა და აღმასრულებელი დირექტორის 2024 წლის 31 მაისის N03/15 ბრძანების გათვალისწინებით, ასევე სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესის თავი II, მე-14 მუხლის შესაბამისად შეიქმნა სამუშაო ჯგუფი *(ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების სამუშაო ჯგუფი; ბრძანება N 03/22*). აღნიშნული ჯგუფი დაკომპლექტდა სასკოლო თემის სხვადასხვა წევრისგან, მათ შორის: სკოლა- გიმნაზიის პერსონალის, მოსწავლეებისა და მათი მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლებისგან. სწორედ, სამუშაო ჯგუფის მიერ განისაზღვრა და ჩამოყალიბდა სკოლის მისია ხედვა და ძირითადი ღირებულებები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი გაზიარებულ იქნა პედაგოგიურ საბჭოზე, აღნიშნული მიმართულებები ინტეგრირდა საგნობრივ კურიკულუმებსა და სადამრიგებლო პროგრამებში. ამასთანავე, კლასის ხელმძღვანელებმა აღნიშნული სიახლეები მშობლებს გააცნეს საერთო კრებებზე, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ერთიან ინფორმირებულობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლა მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარებისთვის იყენებს მეთოდოლოგიით განსაზღვრულ საშუალებას/საშუალებებს: სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია ველი, სადაც წარმოდგენილია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. ასევე, აღნიშნული დოკუმენტი გამოკრულია სკოლის ორივე შენობაში, საცნობარო დაფაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლა-გიმნაზიის დასახელებაა - „ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზია“ და იგი შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, აღნიშნული დასტურდება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *„ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ", სკოლა-გიმნაზიის რექტორის 2024 წლის 29 მაისის N03/14 ბრძანება;*
- *ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის სტრატეგიული განვითარების გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ“, სკოლა-გიმნაზიის რექტორის 2024 წლის 31 მაისის N03/15 ბრძანება;*
- *ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების სამუშაო ჯგუფს ჯგუფის შექმნის ბრძანება/ბრძანებები;*
- *ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების სამუშაო ჯგუფს ოქმები;*
- *კლასისთვის სკოლის ფილოსოფიის გაცნობის კრების სხდომის ოქმის ნიმუში;*
- *მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერი;*

- *სკოლა-გიმნაზიის ვებგვერდი.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის წესდების მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, დამტკიცებულია ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი *(სკოლა-გიმნაზიის რექტორის 2024 წლის 29 მაისის #03/14 ბრძანება).* აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვა თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რაც უზრუნველყოფილია პროცესების სამუშაო ჯგუფის ფორმატში წარმართვით და დაინტერესებულ მხარეებთან დოკუმენტების პროექტ(ებ)ის გაზიარებით. სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მაქსიმალურად ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრთა მოლოდინს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიას 2023 წლის 27 ივნისს N 03/21 ბრძანებით დამტკიცებული აქვს გორის სკოლა-გიმნაზიის განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელშიც ცვლილება შევიდა მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მე 7- მუხლის, ასევე სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესის თავი II, მე-14 მუხლის საფუძველზე *(2024 წლის 31 მაისის N03/15 ბრძანება).*

სკოლა-გიმნაზიის მიერ წარმოდგენილი შვიდწლიანი განვითარების გეგმა გათვლილია 2023-2030 წლებზე. იგი ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს და შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. სტრატეგიული გეგმა დეტალურად ახდენს გარემო ფაქტორებისა და შიდა გარემოს SWOT (სიძლიერე, სისუსტე, შესაძლებლობები და საფრთხე) ანალიზს. სკოლა-გიმნაზია აქცენტს აკეთებს შემდეგ სტრატეგიულ მიზნებზე: ქრისტიანული ცნობიერებით განათლებული მოსწავლის აღზრდაზე, სკოლა-გიმნაზიის ინსტიტუციურ განვითარებაზე, სკოლა-გიმნაზიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერებასა და მასწავლებელთა და თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისთვის მხარდამჭერი გარემოს უზრუნველყოფაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიამ წარმოადგინა ერთწლიანი (2025-2026 წლის) სამოქმედო გეგმა, რომელიც ემსახურება სტრატეგიული მიზნების მიღწევას, სტრატეგიული ამოცანების შესრულების გზით. მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების სამუშაო ჯგუფმა ახალი სასწავლო წლის დასაწყისში (08.09.2025 , ოქმი N 1 25/26) შეიმუშავა და განიხილა 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, ხოლო, სკოლა–გიმნაზიის რექტორის 2025 წლის 10 სექტემბრის #03/29 ბრძანებით დამტკიცდა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, სკოლა-გიმნაზიამ სამოქმედო გეგმის შემუშავებისას გაითვალისწინა სასწავლო წლის ბოლოს გაკეთებული თვითშეფასება, დაწესებულებამ შეაფასა წინა წლის სამუშაოები და მათი შესრულების ხარისხის ანალიზის საფუძველზე შექმნა ახალი წლის სამოქმედო გეგმა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლა-გიმნაზიის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა ასახავს მიზნებს, კონკრეტულ აქტივობებს და შესრულების ინდიკატორებს, რომლებიც აუცილებელია სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. სამოქმედო გეგმის ყოველ აქტივობას თან ერთვის შესრულების ვადა, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტული აქტივობის დასრულების პერიოდს. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია თითოეული აქტივობისთვის პასუხისმგებელი პირი თუ სტრუქტურული ერთეული, რომლებიც არიან პასუხისმგებლები ამ აქტივობის შესრულებაზე. ყველა აქტივობის შესასრულებლად მითითებულია შესაბამისი რესურსებიც (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური).
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *„ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ", სკოლა-გიმნაზიის რექტორის 2024 წლის 29 მაისის N03/14 ბრძანება;*
- *„ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის სტრატეგიული განვითარების გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ“, სკოლა-გიმნაზიის რექტორის 2024 წლის 31 მაისის N03/15 ბრძანება;*
- *„ა ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიაში 2025-2026 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ორგანიზების შესახებ" გორის სკოლა-გიმნაზიის რექტორის 2025 წლის 10 სექტემბრის N03/29 ბრძანება;*
- *2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიში და ოქმები.*

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის წესდების მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, დამტკიცებულია ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი *(2024 წლის 29 მაისის N 03/14 ბრძანება),* სადაც გათვალისწინებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება (მე-12 მუხლი). სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება შემდეგი საშუალებით: ინტერვიუ, დოკუმენტაციის შესწავლა, დაკვირვება და შეფასება, თუ რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო სკოლა-გიმნაზიის სტრატეგია. სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო ჯგუფის ორგანიზებით იმართება გაერთიანებული შეხვედრა, რომელსაც ესწრებიან სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. სხდომის თავმჯდომარე დეტალურად ეცნობა/განიხილავს სტრატეგიული განვითარების/სამოქმედო გეგმას და შესაბამისი პირების ჩართულობით თითოეულ აქტივობას ანიჭებს სტატუსს: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“. სამუშაო ჯგუფის შეხვედრას აოქმებს სამუშაო ჯგუფის მდივანი. ამასთან, ის უზრუნველყოფს წერილობითი ანგარიშებისა და მტკიცებულებების შეგროვებას. მონიტორინგისთვის სკოლა-გიმნაზია იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ და შესაბამის მტკიცებულებებს. სამოქმედო გეგმის ანგარიშში სკოლა-გიმნაზიამ შესაძლებელია შეიტანოს ისეთი ინფორმაციაც, რომელიც არ შედიოდა სამოქმედო გეგმაში/სტრატეგიულ გეგმაში. მაგ: წარმოადგინოს სტატისტიკური ინფორმაცია სხვადასხვა ჭრილში, განათავსოს სხვადასხვა აქტივობის ამსახველი ფოტომასალა, გაამდიდროს ინფორმაცია ინტერვიუებით სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან და ა. შ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა-გიმნაზია ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე ამზადებს წერილობით ანგარიშს, რის საფუძველზეც აღმასრულებელი დირექტორი რექტორს აწვდის ინფორმაციას შესრულებული სამუშაოს შესახებ და შესაბამის მტკიცებულებებს.

სკოლა- გიმნაზიამ წარმოადგინა 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზი ნარატივის სახით. ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანები შესაბამისობაშია სკოლა-გიმნაზიის სტრატეგიულ მიზნებთან, კერძოდ 1. განათლებული მოზარდის აღზრდა ქრისტიანული ცნობიერებით; 2. სკოლა-გიმნაზიის ინსტიტუციური განვითარება; 3. სკოლა-გიმნაზიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება; 4. მხარდამჭერი გარემოს უზრუნველყოფა მასწავლებელთა და თანამშრომელთა პროფესიული განვითრებისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სკოლა-გიმნაზიის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობას. დოკუმენტის მიხედვით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ანგარიშები, საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით უნდა განთავსდეს სკოლის ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას როგორც სკოლის საზოგადოებისთვის, ისე სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის. სკოლა-გიმნაზიის ვებგვერდზე გამოყოფილია სივრცე, სადაც განთავსებულია შესაბამისი ინფორმაცია.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლა-გიმნაზიის მიერ განხორციელებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შედეგებიდან მიღებული ინფორმაცია გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარების პროცესში. ანალიზის შედეგებს კი სკოლა გამოიყენებს შემდგომი განვითარებისთვის. სკოლა გამოხატავს მზაობას აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *„ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ", სკოლა-გიმნაზიის რექტორის 2024 წლის 29 მაისის N03/14 ბრძანება;*
- *„ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის სტრატეგიული განვითარების გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ“, სკოლა-გიმნაზიის რექტორის 2024 წლის 31 მაისის #03/15 ბრძანება;*
- *„ა ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიაში 2025-2026 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ორგანიზების შესახებ", გორის სკოლა-გიმნაზიის რექტორის 2025 წლის 10 სექტემბრის N 03/29 ბრძანება;*
- *2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიში და ოქმები;*

სკოლა-გიმნაზიის ვებგვერდი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის შინაგანაწესში (დანართი N8): მუხლი 6, პუნქტი 11 და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკში, მუხლი 9– აღნიშნულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს იერარქიული სტრუქტურისა და თითოეული თანამშრომლის ფუნქციების მკაფიოობას, რისთვისაც შემუშავებულია სამუშაო აღწერილობები.
შინაგანაწესის დანართი - სამუშაო აღწერილობა (დანართი N8): ეს დოკუმენტი სრულად ეძღვნება თითოეული პოზიციის (რექტორი, დირექტორი, მასწავლებელი, საქმეთა მმართველი და ა.შ.) ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების დეტალურ გაწერას. გარდა ამისა, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესში, მუხლი 2: მკაფიოდ არის განმარტებული სკოლა-გიმნაზიის დირექციის (დირექტორი, მოადგილეები, ბუღალტერი), უფლებამოსილი პირის, კომენდანტისა და დარაჯის როლები. ამასთან ერთად, ფუნქციები და მოვალეობები გაწერილია პერსონალთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. შინაგანაწესში გაწერილია 1. პედაგოგიური საბჭოს; 2. საგნობრივი კათედრების; 3. უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭოს და 4. მშობელთა საბჭოს ფუნქციები.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

ფუნქციების განაწილების კავშირი საგანმანათლებლო მიზნებთან ჩანს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მე-9 მუხლში - <u>სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი ეფუძნება პოზიციის ანალიზს და მასში ნაჩვენებია, თუ რა წვლილი შეაქვს კონკრეტულ პოზიციას დაწესებულების მიზნების მიღწევაში.</u> და მე-3 მუხლში <u>პოლიტიკის მიზანია პროცესების მართვა სკოლა-გიმნაზიის მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან შესაბამისობით</u>. აქედან ჩანს, რომ სტრუქტურულ ერთეულების/პირების ფუნქციები მიემართება და ხელს უწყობს სკოლის არა მხოლოდ ძირითადი, არამედ დამხმარე და ადმინისტრაციული საქმიანობის განხორციელებას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა;
- სკოლის შინაგანაწესი და მისი დანართი - სამუშაო აღწერილობები;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

დოკუმენტები, რომლითაც პერსონალის მართვა ხორციელდება არის შინაგანაწესი და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. ორივე დოკუმენტი შემუშავებულია კანონმდებლობის შესაბამისად. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (დანართი N9): მუხლი 2, პუნქტი 1 – დოკუმენტი შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. შინაგანაწესი (დანართი N8): მუხლი 26, პუნქტი 1 – თანამშრომელთა მიღება და დანიშვნა ხდება კანონმდებლობისა და შიდა პოლიტიკის დაცვით.
„ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ აღწერს პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ პროცესებს. დოკუმენტით განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნები, ამოცანები, ადამიანური რესურსების მართვის ციკლი და სტრატეგია, კადრების მოზიდვა და შერჩევა, კონკურსის გამოცხადება და შერჩევის ეტაპები; თანამშრომელთა სოციალიზაცია, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება, შესრულებული სამუშაოს შეფასება და სხვა. გარდა ამისა, პერსონალის მართვასთან დაკავშირებული პროცესები, რომელიც არ არის აღწერილი პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, აღწერილია სკოლის შინაგანაწესში.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის შინაგანაწესში არის მუხლი 34. სამსახურში დაგვიანებით გამოცხადება და გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი, რომელიც პერსონალის მართვის პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკის შესაბამის რეგულაციებს შეიცავს. კერძოდ, აღწერს თანამშრომელთა ვალდებულებებს რა უნდა მოიმოქმედოს სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში გაცდენის წინასწარ ცნობილი მიზეზის შემთხვევასი და იმ შემთხვევაში, თუ აცდენს გადაუდებელი აუცილებლობისას. სკოლამ წარმოადგინა „მასწავლებელთა გაცდენილი საათების ჩანაცვლების ბრძანებაც“.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით**

სკოლის მიერ გადმოგზავნილი საკონკურსო მასალების მიხედვით საკონკურსო კომისია დაკომპლექტებულია მოქმედი წესის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლის ყველა თანამშრომელზე გახსნილია პირადი საქმე, რომელთა უმრავლესობაშიც წარმოდგენილია ყველა საჭირო დოკუმენტი, მათ შორის კანონმდებლობით მოთხოვნილი ცნობები. თუმცა, დარჩენილია რამოდენიმე თანამშრომელი რომელთაც მოსაწესრიგებელი აქვთ პირადი საქმეები. კერძოდ: 1 პირს არ აქვს ცნობა „ნასამართლობის“ შესახებ; 10-ს არ აქვს ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის“ შესახებ; ხოლო 25-ს “საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმების უფლების ჩამორთმევის შესახებ”. აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა 2020 წლის ივნისამდე დასაქმებულთა სია, რომელიც სკოლამ გადააგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროში სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ კანონის მოთხოვნით, გადამოწმების მიზნით.

სკოლამ ვიზიტის დროს გადმოგზავნილ მასალებთან ერთად გადმოაგზავნა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით ამ ცნობების აღებისთვის სკოლას განსაზღვრული აქვს პერიოდი 29.05.2026-12.06.2026. აქედან გამომდინარე სკოლას **სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში მითითებულ პერიოდში 29.05.2026-12.06.2026 უზრუნველყოს პირადი საქმეების მოწესრიგება და ყველა საჭირო ცნობით აღჭურვა.**

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად ცენტრში წარმოადგინა სკოლის იმ თანამშრომელზე გაცემული **ცნობები, რომლებიც აღნიშნულია ამავე ინდიკატორის აღწერით ნაწილში, შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები სრულიად დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

საკვალიფიკაციო მოთხოვნები სკოლას გაწერილი აქვს შინაგანაწესის დანართში - დოკუმენტი, რომელიც სრულყოფილად აღწერს ყველა თანამდებობის ფუნქცია-მოვალეობებს და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. საკვალიფიკაციო მოთხოვნები შედგება განათლების, სამუშაო გამოცდილების აუცილებელი და სასურველი მოთხოვნებისგან და თანამდებობისთვის მოთხოვნილი უნარებისგან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მართვა ეფუძნება მისი სტრუქტურული ერთეულების - კოლეგიური ორგანოების მუშაობის პრინციპებს (პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა), რომელთა ფუნქციები გუნდურობას და გადაწყვეტილებების კოლეგიურ მიღებაზეა დაფუძნებული. გადაწყვეტილებების მიღების წესი სკოლის წესდებაშია გაწერილი. გუნდურობისა და მონაწილეობითი კულტურითაა შემუშავებული სკოლის ფილოსოფია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები. გუნდურობის პრინციპზეა აგებული სკოლის სტრუქტურული ერთეულების - სათათბირო ორგანოების მიერ საკუთარი ფუნქციების შესრულება და გადაწყვეტილებების მიღება. შინაგანაწესში გაწერილია 1. პედაგოგიური საბჭოს; 2. საგნობრივი კათედრების; 3. უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭოს და 4. მშობელთა საბჭოს ფუნქციები. ამ კოლეგიური ორგანოების გადაწყვეტილებებს აქვს მხოლოდ სათათბირო სტატუსი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტში გაწერილია რეგულაციები, რომელიც ემსახურება პერსონალის წარმატებული გამოცდილების აღიარებასა და გაზიარებას. მუხლი 21: <u>პერსონალის მოტივაციისთვის გამოიყენება აღიარება, მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება და პრემიები.</u>; <u>მუხლი 5, პუნქტი 1.1: დამსახურებებზე დაფუძნებული მიდგომა — გადაწყვეტილებების მიღება ინდივიდის კომპეტენციასა და დამსახურებაზე დაყრდნობით; მუხლი</u>

20, პუნქტი 1: სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს როგორც სკოლის ბაზაზე, ისე გარე სერვისებით, რაც გულისხმობს ცოდნის გაზიარების მუდმივ პროცესს.

შინაგანაწესი განსაზღვრავს წახალისების სისტემას. **რომლის მიხედვითაც,** პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

ა) წერილობითი მადლობა;

ბ) საჩუქარი (ფულადი ან მატერიალური სახით);

გ) სიგელით დაჯილდოება;

დ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

ე) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა;

ვ) სოციალური უზრუნველყოფა - საჩუქრები დღესასწაულებზე, სამედიცინო პროცედურის დაფინანსება, შვილის დაბადების გამო ფინანსური მხარდაჭერა, ოჯახის წევრის გარდაცვალების გამო ფინანსური მხარდაჭერა;

ზ) ხელფასის მომატება დამსაქმებლის ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში.

წარმატებული გამოცდილების გაზიარების შესახებ შინაგანაწესის მუხლი 8, პუნქტი 7 (ე) პუნქტი განსაზღვრავს, რომ საგნობრივი კათედრის ფუნქციებში შედის მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადება და გავრცელება. ხოლო სტრატეგიული გეგმა (დანართი N1): შედეგი 4.1 – ითვალისწინებს: მაღალკვალიფიციური მასწავლებლების მიერ დამწყებთათვის გამოცდილების გაზიარებას სამუშაო შეხვედრებისა და ურთიერთდასწრების გზით. აღსანიშნავია, რომ წახალისების სისტემა ასევე აღწერილია დოკუმენტში „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, რომელშიც მცირედით განსხვავდება შინაგანაწესის წახალისების ფორმებისგან (მაგალითად დამატებულია ექსკურსიის დაფინანსება, არ არის ხელფასის მომატების ფორმა, დამატებულია ე.წ. აღიარება, რომელიც არ არის შინაგანაწესში). სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის მითითება აღნიშნული დოკუმენტების შესაბამისობასი მოყვანის აუცილებლობის შესახებ და ვიზიტის დროს წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში შეიტანა პუნქტი, რომლითაც იღებს ვალდებულებას შესაბამისობაში მოიყვანოს შინაგანაწესი და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. **სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში მითითებულ პერიოდში 29.05.2026-12.06.2026 შესაბამისობასი მოიყვანოს შინაგანაწესისა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის წახალისების სისტემასთან დაკავშირებული რეგულაციები.**

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ ცენტრში წარმოადგინა შინაგანაწესისა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტები, რომლებშიც წახალისების სისტემასთან დაკავშირებული რეგულაციები შესაბამისობაშია, შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები სრულიად დაკმაყოფილებულია
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- საკონკურსო კომისიის შექმნის ბრძანება;
- საკონკურსო კომისიის ოქმები;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- სკოლის შინაგანაწესი და მისი დანართი;
- „ადამიანური რტესურსების მართვის პოლიტიკა“.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (მუხლი 19) პირდაპირ ითვალისწინებს შეფასების სისტემის დანერგვას. დოკუმენტში ნათქვამია, რომ დაწესებულება სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. ამავე მუხლით განსაზღვრულია შეფასების პრინციპები, შეფასების მაგალითები და შეფასების ეტაპები. სკოლამ წარმოადგინა სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარების ჯგუფის შექმნის ბრძანება და გაკვეთილზე დასწრების განრიგი. ასევე გაკვეთილზე დასწრების მასალები -მასწავლებელზე მიცემული უკუკავშირი და მასწავლებელთა რეფლექსიები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

როგორც წინა ინდიკატორში აღინიშნა, სკოლა შეფასების საფუძველზე ადგენს პერსონალის ძლიერ და გასუმჯობესებელ მიმართულებებს, რის საფუძველზეც დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. მასწავლებელთა პირად საქმეებში არის პედაგოგებთან და სკოლის სხვა თანამშრომლებთან ტრენინგების გავლის დამადასტურებელი ცნობები და სერტიფიკატები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

პერსონალის კარიერული ზრდის ხელშეწყობის საკითხი ყველაზე დეტალურად გაწერილია „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში“. ეს დოკუმენტი წარმოადგენს სკოლის საკადრო პოლიტიკის საფუძველს და აერთიანებს იმ მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც მიმართულია თანამშრომელთა პროფესიული დონის მუდმივ ამაღლებაზე. ამ დკუმენტის მიხედვით პერსონალის მართვის პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად (მუხლი 4) განსაზღვრულია „დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა“. სკოლამ წარმოადგინა სკოლამ წარმოადგინა ხელშეკრულება, რომლითაც დასტურდება, რომ რომ სკოლამ ტრენინგის ჩატარების მიზნით დაიქირავა პირი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

„ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ მე-18 მუხლი განსაზღვრავს ახალი თანამშრომლის სოციალიზაციას. ამ მუხლის მიხედვით სკოლაში დანერგილია ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მკაფიოდ განსაზღვრული პროცესი, რომელიც სამ ძირითად ეტაპს მოიცავს (მუხლი 6):

- **მოლოდინები:** მუშაობის დაწყებამდე სკოლის შესახებ შთაბეჭდილებისა და მოლოდინების ჩამოყალიბება.
- **შეხვედრა:** მუშაობის პირველი სამი თვე, რაც გულისხმობს ფორმალური და არაფორმალური სოციალიზაციის პერიოდს.
- **„ოჯახის წევრობა“:** თანამშრომლის მიერ საკუთარი თავის სკოლის/გუნდის სრულუფლებიან წევრად აღქმის ეტაპი.

სკოლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს დამკვიდრებული წესებისა და ტრადიციების გაცნობას, რათა ახალი კადრი სწრაფად შეეგუოს ორგანიზაციულ კულტურას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

„ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის“ მე-20 მუხლში მოცემულია, <u>რომ პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან.</u> პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით, დასაქმებულთა მოტივაციის გაზრდისთვის იგეგმება და გამოიყენება წახალისების სისტემა, რომელიც მოცემულია შინაგანაწესში. სკოლამ წარმოადგინა მასწავლებელთა კონფერენციაში მონაწილეობის ხელშეწყობის დამადასტურებელი მივლინების და წახალისების ბრძანებები

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი“;
- ტრენინგების გავლის დამადასტურებელი ცნობები და სერტიფიკატები;
- მივლინებისა და წახალისების ბრძანებები;
- შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას დამტკიცებული აქვს დოკუმენტი „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ (დამტკიცებული სკოლის რექტორის 2025 წლის 17 ნოემბრის N3-47 ბრძანებით). დოკუმენტის მე-5 მუხლით განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები, რომლის მიხედვით <u>სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში იქმნება: ხარისხის პოლიტიკა; ხარისხის მექანიზმები; პროცედურები და რეგულაციები; შეფასების ფორმები; პროცედურების დოკუმენტური დადასტურება (ანგარიშები).</u> ამავე მუხლში აღნიშნულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს „დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე“ ციკლის (PDCA) პრინციპით.

სკოლაში მიმდინარე სხვა პროცესებიც ექვემდებარება ასეთივე ციკლის მოქმედებას. მაგალითად სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება, განხორციელება, შემოწმება/შეფასებისა და განვითარების

ეტაპები. ასეთივე ციკლია გათვალისწინებული სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში: კურიკულუმის დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება და ბოლოს გადასინჯვა და რევიზია.

ინდიკარორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესებ აღწერილია სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტის მე-4 მუხლში. კერძოდ,

ძირითადი პროცესებია - კურიკულუმის განვითარება;ლ სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა.

მმართველობითი პროცესებია - სტარტეგიული დაგეგმვა; წლიური დაგეგმვა; ხარისხის უზრუნველყოფა..

დამხმარე პროცესებია - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება; მოსწავლეთათვის დამატებითი მომსახურეობა; საბიბლიოთეკო მომსახურეობა; ფინანსური რესურსების მართვა; ადამიანური რესურსის მართვა; უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა; საზოგადოებასთან ურთიერთობა; საქმისწარმოება; კარიერული განვითარება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლას დამტკიცებული აქვს დოკუმენტი „აა(ა)იპ წმინდა ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლაში განცხადება/საჩივრის განხილვის წესი“ (05.05.2026, N3-20) რომელშიც აღწერილია განცხადებისა და გასაჩივრების ვადები, რეკვიზიტები, რეგისტრაციის და მასზე რიაგირების ვადები. ასევე, განცხადებაზე და საჩივარზე უარის თქმის პირობები. დოკუმენტში მოცემულია ასევე მოსწავლის მიერ საჩივრის წარდგენის თავისებურებები, რომელიც ძირითადისგან გამარტივებულ წესებს მოიცავს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

უნდა აღინიშნოს, რომ პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ზოგიერთი უფლება გაწერილია სკოლის შინაგანაწესში, მშობელთან ურთიერტობის დებულებაში, ადამიანური რესურსის პოლიტიკის დოკუმენტში, თუმცა სკოლამ ამასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც გაწერილი აქვს, რომ 29.05.2026-12.06.2026 პერიოდში შეიმუშავებს დოკუმენტს „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი“. **სკოლას ეძლევა რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმაში აღნიშნულ პერიოდში 29.05.2026-12.06.2026, შეიმუშაოს და დაამტკიცოს „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი“.**

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ ცენტრში წარმოადგინა დამტკიცებული **„მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი“, შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები სრულიად დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლის შინაგანაწესი;
- „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი“
- „განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი“.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლა სასკოლო საზოგადოების ინფორმირების სხვადასხვა ხერხებს იყენებს. ერთ-ერთ საშუალებაა სკოლის საინფორმაციო დაფა, ასევე, სკოლის/კლასების სოციალურ ქსელი. გარდა ამისა, ინფორმაციის გაცემა და უკუკავშირის მიღება, კლასების მიხედვით, ხდება მშობელთა კრებებზე. გარდა ამისა, სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე, სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, ხშირად ხვდებიან ყველა მშობელს, რადგან სკოლაში მოდის მოსწავლის მოსაყვანად ან წასაყვანად და სკოლის ადმინისტრაციასთან უწევს პირისპირ შეხვედრა. გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება, რომელიც სამართლებრივად არეგულირებს კომუნიკაციის წესებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში საკმაოდაა სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც წარმომადგენლობითია და სასკოლო საზოგადოების წევრებს ეძლევათ მათში ჩართვის შესაძლებლობა. კერძოდ, სკოლის კოლეგიური ორგანოებია პედაგოგიური საბჭო, სადაც ყველა პედაგოგია ჩართული; საგნობრივი კათედრები, სადაც მასწავლებლები საგნობრივი მიმართულებით არიან გაერთიანებული. მშობელთა საბჭო, სადაც მოსწავლეთა მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები არიან გაერთიანებული. ასევე წარმომადგენლობითი ორგანოა მრჩეველთა საბჭო.უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“ — მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან: აღმასრულებელი დირექტორი ან/და მისი მოადგილე; უფლებამოსილი პირი (რომელიც იმავდროულად არის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე); პედაგოგიური საბჭოს სამი წარმომადგენელი — კერძოდ, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კლასების ხელმძღვანელები; შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ან თანამშრომელი; სკოლა-გიმნაზიის მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე.

ყველა ეს ორგანო უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის შესაძლებლობით, მათთვის განსაზღვრული ფუნქციების ფარგლებში და დასტურდება ამ სტრუქტურული ერთეულების შეხვედრების ოქმებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესია;

- სკოლის კოლეგიური სტრუქტურული ერთეულები და მათი შეხვედრების ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლა დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლა მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

ა) ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების პროექტი“ რომელიც შეთანხმებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროსთან (სამინისტროს 10.11.2025 MES 9 25 0001573353 წერილი გორის რესურსცენტრს)

გარდა ამისა, უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის სკოლას ჰყავს დარაჯები; მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესის დროს მორიგეობენ სკოლის დერეფნებში. სკოლაში დამონტაჟებულია ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა.

ბ) საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა დამტკიცებულია სკოლის რექტორის 2026 წლის 18 მაისის #03/22 ბრძანებით და შეთანხმებულია უფლებამოსილ ორგანოსთან - სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან 2026 წლის 15 მაისის წერილი MIA 0 26 01682893 შეთანხმების დასტურზე.

გ) სკოლას გაგზავნილი აქვს წერილი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად N 02/129, 20 ოქტომბერი 2025 წელი.

დ) სკოლას აქვს უფლებამოსილი ორგანოს - სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მიერ გაცემული საინჟინრო **ექსპერტიზის დასკვნა N004328225**, (14.07.2025) რომელშიც აღნიშნულია, რომ „...სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ვიზუალური გამოკვლევით შენობების კონსტრუქციული ელემენტების ძირითადი ნაწილში დაზიანებები არც ბზარების და არც დეფორმაციების სახით არ ფიქსირდება. დაზიანება, რომელიც დაფიქსირდა 01/2 შენობაში ლოკალური ხასიათისაა და აღნიშნული შენობის მდგრადობაზე უარყოფით გავლენას არ ახდენს. მონიტორინგის შედეგების მიხედვით შერჩეული ღონისძიებებიუთ შესაძლებელია დაზიანებათა აღმოფხვრა გეგმიური კაპიტალური სარემონტო სამუშაოების შესრულების დროს.“

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას. სკოლას ჰყავს სათანადო კვალიფიკაციის მქონე ექთანი. შენობის პირველ სართულზე, როგორც ეს რეკომენდებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით და მისი მოთხოვნათა დაცვით, განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი. კაბინეტი აღჭურვილია სათანადოდ, აღნიშნული ბრძანების შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს „სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირების წესი“ (2026 5 მაისის N03/15). ექთანი აწარმოებს სამედიცინო შემთხვევების, გახარჯული და ვადაგასული მედიკამენტების აღრიცხვას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლას შემუშავებული აქვს „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობები წესი“. შექმნილი ჰყავს მრჩეველთა საბჭო, განსაზღვრული ჰყავს სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

„უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობები წესის“ ერთ-ერთი მიზანი ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა. სკოლა ახორციელებს ამ ბრძანების მოთხოვნებს, შესაბამისად უზრუნველყოს სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას. ბრძანების მოთხოვნის უზრუნველსაყოფად სკოლაში გამოკრულია მანდატურის ფსიქო-სოციალური სამსახურის ცხელი ხაზის, სახალხო დამცველის, განათლების სამინისტროს, მანდატურის ცხელი ხაზის ნომერები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლას შემუშავებული აქვს „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი“ (2026 5 მაისის N03/21), რომელშიც განსაზღვრულია, სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვის პროცედურები და სკოლა-გიმნაზიის სანიტარული კვანძის დასუფთავების წესები. სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელია სკოლის ექთანი და დამლაგებელი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას ჰყავს დანიშნული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი (11.06.2025, N04/25) და დანიშვნის ბრძანებაშივეა, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონის შესაბამისად, დანიშვნის შესახებ ეცნობოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს. დამტკიცებული აქვს ,,პერსონალური მონაცემების დაცვის წესი'' (22.12.2025, N03/54) და ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი (22.12.2025, N03/55). სკოლას მოპოვებული აქვს მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების თანხმობები პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე. **სკოლას ეძლევა რჩევა: პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ვინაობა და საკონტაკტო ინფორმაცია ასახოს სკოლის ვებგვერდზე.**

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ ცენტრს აცნობა, რომ პერსონალურ მონავემთა დაცვის ოფიცრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია უკვე ასახულია სკოლის ვებგვერდზე, შესაბამისად ინდიკატორში აღნიშნული რჩევა მოიხსნა რჩევათა ნუსხიდან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლა, მის ხელთ არსებულ ინფორმაცია იცავს და ამის შესახებ გაწერილი აქვს რამდენიმე დოკუმენტში, კერძოდ 1. დოკუმენტი **„ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესი“** ეს დოკუმენტი განსაზღვრავს ტექნიკურ მექანიზმებს: მუხლი 2, პუნქტი 2: სკოლა უზრუნველყოფს აპარატურის ფიზიკურ და პროგრამულ უსაფრთხოებას, ქსელურ უსაფრთხოებას და ინფორმაციაზე წვდომის კონტროლს მუხლი 5, პუნქტი 7: პერიოდულად ხორციელდება კრიტიკული სისტემების და ძირითადი მონაცემების სარეზერვო ასლების აღება (Backup) მუხლი 6, პუნქტი 1: თანამშრომელი ვალდებულია მოახდინოს კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფორმაციის თავმოყრა, დაარქივება და ასლის სხვადასხვა წყაროებში (USB, Google Drive, სერვერი) შენახვა. სამუშაო აღწერილობა (ინფორმაციული ტექნოლოგი): იგი პირდაპირ არის პასუხისმგებელი ქსელში ინფორმაციის დაცვაზე და ანტივირუსული პროგრამების პერიოდულ განახლებაზე. 2. **„პერსონალური მონაცემების დაცვის წესი”** ეს არის მთავარი დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს ინფორმაციის დაცვის სისტემას: მუხლი 3, პუნქტი 7: სკოლა-გიმნაზია იღებს ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომებს მონაცემთა უნებართვო ან უკანონო დამუშავებისგან, შემთხვევითი დაკარგვისგან ან დაზიანებისგან დასაცავად. მუხლი 7, პუნქტი 1: სკოლა უზრუნველყოფს ელექტრონული ინფორმაციის დამმუშავებელი მოწყობილობის დაცვას არაავტორიზებული წვდომისგან. მუხლი 11: განსაზღვრავს მოსწავლის მონაცემების დაცვის წესს ელექტრონული ჟურნალის (EduPage) წარმოებისას. მუხლი 16: არეგულირებს მონაცემთა დაცვას ელექტრონული ბაზების ადმინისტრირებისას. მუხლი 19, პუნქტი 3: თანამშრომლებს ეკრძალებათ პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტებისა და ფაილების უყურადღებოდ დატოვება 3. **შინაგანაწესი** - მუხლი 20: თანამშრომელს ეკრძალება კონფიდენციალური ინფორმაციის (პირადი, კომერციული, სახელმწიფო საიდუმლოება) გამჟღავნება როგორც მუშაობის პერიოდში, ისე სამსახურიდან წასვლის შემდეგ. მუხლი 45, პუნქტი 4: თანამშრომელთა პირადი საქმეები კონფიდენციალურია და ინახება საქმეთა მმართველთან. მუხლი 50, პუნქტი „ვ“: კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება ითვლება დისციპლინურ გადაცდომად. 4. **საქმისწარმოების წესი** მუხლი 1, პუნქტი 6: სამსახურებრივი დოკუმენტები მათი მომზადების პროცესში არის კონფიდენციალური. მუხლი 1, პუნქტი 7: თანამშრომლებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა დოკუმენტებში ასახული ინფორმაციის დაცვაზე. **5. ვიდეომონიტორინგის წესი** მუხლი 6, პუნქტი 3: ვიდეოკამერების მონაცემები ინახება ჩაკეტილ ოთახში (დირექციაში), სადაც შესვლის უფლება მხოლოდ უფლებამოსილ პირებს აქვთ. მუხლი 7, პუნქტი 3: ელექტრონული ინფორმაციის შენახვასა და კონფიდენციალურობაზე პასუხისმგებელია დირექტორის მოადგილე საორგანიზაციო დარგში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფა მოითხოვს ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების დაცვას, რომლის შესაბამისად სკოლას ჰყავდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. შემუშავებული აქვს შრომის უსაფრთხოების დებულება. გარდა ამისა, წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, გორის სკოლა-გიმნაზიას ჰყავს უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო, რომლის ფუნქციები და საქმიანობის წესი დეტალურადაა გაწერილი შინაგანაწესსა (დანართი N8) და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესში (დანართი N28/29). საბჭოს სტატუსი და დანიშნულებაა - უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო არის სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორის აქტით შექმნილი კოლეგიური სათათბირო ორგანო. მისი მთავარი დანიშნულებაა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხების განხილვა და დირექტორისთვის შესაბამისი რეკომენდაციების მიცემა. საბჭო პირდაპირ მონაწილეობს უსაფრთხოების მექანიზმების შეფასების პროცესში; საბჭო განიხილავს მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების მიერ შევსებული შეფასების კითხვარების საფუძველზე მომზადებულ ერთიან ანგარიშს. ეს კითხვარები საშუალებას იძლევა მოხდეს პრობლემების იდენტიფიცირება და მათ საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ და აღმასრულებელ დირექტორს წარუდგენს კონკრეტულ რეკომენდაციებს უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- სკოლის წერილი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად.
- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა;
- მოსწავლეთა, პედაგოგებისა და მშობლების პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თანხმობები;
- „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი";
- ექთნის პირადი საქმე;

- დამლაგებლების ხელშეკრულება;
- ვიდეომონიტორინგის წესი;
- საქმისწარმოების წესი;
- შინაგანაწესი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

ა(ა)იპ - ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზია ფუნქციონირებს ქალაქ გორში, სამეფოს ქ. N5. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის მესაკუთრეა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიაა და სკოლას უზუფრუქტის უფლებით, 2015 წლის 15 აპრილს გადაცემული აქვს სკოლა-გიმნაზიას 50 წლის ვადით.

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (საკადასტრო კოდი 66.45.26.052) მიწის ნაკვეთის ფართია 3288.00 კვ.მ., შენობა N1 - სასწავლო კორპუსი, ორი სართული+მანსარდის სართული საერთო ფართით 2157.18 კვ.მ.; შენობა N2 – სასწავლო კორპუსი, ოთხი სართული, საერთო ფართი 1178.45 კვ.მ.; შენობა N3 - დამხმარე შენობის განაშენიანების ფართი 73.05 კვ.მ.; შენობა N4 – (სპორტული დარბაზი) საერთო ფართი 289.42 კვ.მ.

შენობაში არის 33 საკლასო ოთახი, სამასწავლებლო, სპორტული დარბაზი გასახდელებით, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორია, ფიზიკისა და ქიმია–ბიოლოგიის ლაბორატორიები, საკონფერენციო დარბაზი, სააქტო დარბაზი, რესურს ოთახი, სამედიცინო კაბინეტი, დაცვის ოთახი, საკლუბო ოთახები, სატრაპეზო და სათავსოები. ეზო შემოღობილია და მოწყობილია ღია სპორტული მოედანი, სკვერი და მოსწავლეთა გასართობი სივრცეები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის ინფრასტრუქტურა (კომპიუტერული კაბინეტი, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო კაბინეტი, რესურს ოთახი, სპორტული დარბაზი და სხვა), მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, თანასწორობის პრონციპების გათვალისწინებით ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლას დამკიცებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, ისტ-ის კაბინეტით სარგებლობის წესი (N2-42, 24.12.2024) და საგანმანათლებლო რესურსების სარგებლობის წესი (N2-40, 21.12.2024). რომლებშიც აღნიშნულია შესაბამისი რესურსების სარგებლობის ძირითადი პრინციპი და თანაბარი ხელმისაწვდომობა მოსწავლეებისა და თანამშრომლებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი და დამტკიცებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელშიც აღწერილია ბიბლიოთეკის საქმიანობის ძირითადი პრინციპები. ბიბლიოთეკა განთავსებულია პირველი შენობის მანსარდის სართულზე. ბიბლიოთეკაში წიგნები განთავსებულია ანბანური წესით. საინვენტარო წიგნის მიხედვით არის 6404 მხატვრული და სამეცნიერო ქართულენოვანი ლიტერატურა; 381 რუსულენოვანი ლიტერატურა, რომლებიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და გატარებულია როგორს საინვენტარო წიგნში ასევე ლოკალურ ელექტრონულ საბიბლიოთეკო პროგრამაში. გარდა ამისა, ბიბლიოთეკაში არის სასკოლო სახელმძღვანელოები. სკოლის ბიბლიოთეკარი ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს მოსწავლეებთან, მათ შორის აღსანიშნავია

„ახალი სიცოცხლე ძველ წიგნებს“, რომლის ფარგლებში მოსწავლეებმა ძველ, ყდა გაცვეთილ და ყდა მოხეულ წიგნებს აღუდგინეს ან ახალი ყდა გაუკეთეს თავიაანთი დიზაინით, მას შემდეგ, რაც წაიკითხეს წიგნი. ასეთი აქტივობა ერთგვარი მოტივატორი იყო მოსწავლეებში წაეკითხათ მეტი წიგნი, რათა მეტი წიგნის აღდგენა შესძლებიყოთ.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. სკოლაში არსებულ სველ წერტილებში მოწყობილია 2 ადაპტირებული სველი წერტილი გოგონებისთვის და ბიჭებისთვის ცალ-ცალკე. სკოლას აქვს რესურსოთახი და კიბეებზე მოძრავი პანდუსებია. რესურსოთახი აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით. სპეცმასწავლებელი თითოეულ სსსმ მოსწავლისთვის აგროვებს და ინახავს მათი აქტივობების დამადასტურებელ ნამუშევრებს მათსავე პორტფოლიოებში.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა ხშირად გამოიყენება კულტურულ ღონისძიებათა განხორციელების ადგილად. განასაკუთრებით აღნიშვნის ღირსია საშობაო ყოველწლიური ღონისძიება „გენეთლია“, რომელიც რამდენიმე ეპარქიის სკოლებიდან და გორის მუნიციპალიტეტის რომელიმე საჯარო სკოლის მოწვეულ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს აერთიანებს. <u>ფესტივალის მიზანია ქრისტეშობის დღესასწაულის სიხარულის აღსაქმელად, მოზარდებში რწმენის გასაძლიერებლად და ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად გარემოს შექმნა მოსწავლეთა საკონფერენციო გამოსვლებით, კონკურსებით, სპორტული ასპარეზობით, ნამუშევრების გამოფენებითა და თვითშემოქმედების წარდგენით.</u> როგორს სკოლა გიმნაზიის აღმასრულებელმა დირექტორმა განმარტა, ხშირად მონაწილეთა რაოდენობა 10-12 სკოლასაც სცდება ხოლმე. გარდა ამისა, სკოლა სააქტო დარბაზში ხშირად ეწყობა ხოლმე შეხვედრები საზოგადოების წარმატებულ წარმომადგენლებს, მათ შორის საკუთარ კურსდამთავრებულებთან, მწერლებთან და სხვა. ამ აქტივობებზე ხშირად მოწვეული არიან რესურსცენტრის, თემის, სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი 66.45.26.052);
- საკადასტრო გეგმა;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- სასკოლო

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლაში არის 69 კომპიუტერი, 1 „ჭკვიანი დაფა“; 2 პროექტორი, 28 მოქმედ კლასში განთავსებულია მონიტორები. კომპიუტერებიდან კომპიუტერულ ლაბორატორიაშია განთავსებულია 25+1 მასწავლებლისთვის კომპიუტერი. გარდა ამისა, კომპიუტერები განთავსებულია ბიბლიოთეკაში, ლაბორატორიაში, ექიმის კაბინეტში, რესურსოთახში და ადმინისტრაციულ კაბინეტებში. სკოლაში ხელმისაწვდომია უკაბელო ინტერნეტი. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ნაწილია ვებ-გვერდი, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან ერთად ხელს უწყობს ადმინისტარაციული და სწავლა-სწავლების პროცესის სრულფასოვან წარმართვას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული „ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესი“ (05.05.2026, N03/18), რომლის მიხედვითაც სკოლა უზრუნველყოფს კომპიუტერული ტექნიკის გამართულ მუშაობას და ინტერნეტ-რესურსების ხელმისაწვდომობას პერსონალისა და სასწავლო პროცესში ჩართულ პირთათვის და ასევე პირდაპირ არის მითითებული, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გამოყენების თანაბარ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სკოლა-გიმნაზიის ინფორმაციული ტექნოლოგი (მუხლი 2, პუნქტი 1 და 3). გარდა ამისა, მე-8 მუხლში ჩაწერილია, რომ სკოლა უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ საქმიანობასა და სასწავლო პროცესში ჩართულ პირებს გამართული IT ინფრასტრუქტურით, რაც აუცილებელია პროცესების სრულფასოვნად წარმართვისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესი“
- სკოლის ვებ-გვერდი;

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული აქვს „საქმისწარმოების წესი“ (N03/3, 30.01.2026). დოკუმენტი კანონის შესაბამისია და განსაზღვრულია, რომდოკუმენტაციის ბრუნვა წარმოადგენს სკოლაში დოკუმენტების მოძრაობის ერთიან ციკლს და დოკუმენტბრუნვა მოიცავს

სამი ტიპის დოკუმენტს: ა) შემოსული; ბ) გასული; გ) შიდა დოკუმენტაცია. აღწერილია თითოეული ტიპის დოკუმენტის სავალდებულო რეკვიზიტებს, რეგისტრაციას, ვადებს და სხვა თავისებურებებს.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა აქვს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა. ხელშეკრულება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენებაზე გაფორმებულია ელექტრონული ჟურნალის მომწოდებელ შპს „სქულ მენეჯმენტ სისტემს“ შორის. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა შერჩევითი პრინციპით დოკუმენტების გატარება სისტემაში და დადასტურდა, რომ სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონულ დოკუმენტბრუნვის სისტემას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო **eschool emis ge** სისტემაში. ამ სისტემაში სკოლის პროფილის დასახელებაა “ა(ა)იპ - ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზია”. პროფილში სრულყოფილადაა შეყვანილი მოთხოვნილი ინფორმაცია სკოლის შესახებ: სკოლის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა აწვდის ინფორმაციასა და უკუკავშირს თავისი საქმიანობის შესახებ იმ უწყებებს, რომლებიც ერთჯერადად ან სისტემატიურად უფლებამოსილი არიან მიიღონ ასეთი სახის უკუკავშირები. ასეთი უწყებები არიან ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრი, საპატრიარქოს მაკონტროლებელი ორგანო და სხვა.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის „საქმისწარმოების წესი“;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში;
- ხელშეკრულება შპს „სქულ მენეჯმენტ სისტემსთან“.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს ვებ-გვერდი, სადაც სკოლის შესახებ ზოგადი სახის ინფორმაციაა ასახული. ვებ-გვერდზე არის ინფორმაცია სკოლასთან საკომუნიკაციო საშუალებების - სკოლის ელექტრონული ფოსტის მისამართის და ტელეფონის ნომერის შესახებ. მშობლებთან და მოსწავლეებთან კომუნიკაციის საშუალებად გარდა ვებგვერდისა, გამოიყენება სკოლის სოციალური ქსელის ჯგუფები და ელექტრონული ჟურნალი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

ვებგვერდზე და საინფორმაციო დაფაზე სკოლის მიერ გამოქვეყნებული აქტივობის ამსახველი მასალა, არის სანდო და უტყუარი. რაც დასტურდება გამოქვეყნებული მასალისა და განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი მასალის და ვიზიტის დროს მოპოვებული ინფორმაციის თანხვედრით

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა საზოგადოებასთან საკომუნიკაციოდ ძირითადად ზეპირ, უშუალო კომუნიკაცია იყენებს, რადგან, როგორ წინა ინდიკატორში აღინიშნა ყოველდღიურად ხდება სასკოლო საზოგადოების თითქმის ყველა წევრთან უშუალო შეხვედრები, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში უკუკავშირები სკოლაში მიიღება ელექტრონული ფოსტის ან/და სოციალური ქსელების

საშუალებით. უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი ხარისხის გასაუმჯობესებლად. ამის მაგალითებია სკოლის ფილოსოფიის შემუშავების დროს საზოგადოების ჩართულობა; მე-5 კლაში მეორე უცხოური ენის არჩევის დროს მიღებული უკუკავშირები და სხვა. ამასთან ერთად, სკოლას შემუშავებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება, რომელიც სამართლებრივად არეგულირებს კომუნიკაციის წესებს. ასევე აღსანიშნავია, რომ სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა საზოგადოებასთან ურთიერთობის დებულების პროექტი, რომლის ერთ-ერთი მიზანი სწორედ საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფაა საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებგვერდი, რომელზეც ინფორმაცია დევს ქართულ ენაზე - იმ ენაზე, რა ენაზეც სკოლა ახორციელებს სწავლებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის აქვს ვებ-გვერდი და ვებ-გვერდზე განთავსებულია მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა და საკონტაქტო ინფორმაცია, ასევე, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები. ასევე არის ინდიკატორით მოთხოვნილი ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები და სხვა. თუმცა, იმის გამო, რომ სკოლას ვიზიტის მიმდინარე წელს აქვს დაწყებული სტრატეგიული 7 წლიანი პერიოდი, ბუნებრივია, ჯერ არ აქვს გაკეთებული ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები/ანგარიშები და ჯერ არ არის ვებ გვერდზე ასახული.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სოციალური ქსელი გვერდი;
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება;
- სკოლის ვებ-გვერდი.

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლამ წამოადგინა მიმდინარე წლის ბიუჯეტი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის რექტორის მიერ. სკოლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული შესყიდვების განხორციელება შესაძლებელია სკოლის ბიუჯეტით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის ბიუჯეტი მტკიცდება სკოლის რექტორის მიერ, რომლის დამტკიცებისას გათვალისწინებულია წინა წლის გამოცდილება (მონიტორინგისა და შეფასების გზით). საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მასში ცვლილებების შეტანა. ფინანსების განკარგვა ხდება აღმასრულებელი დირექტორის მიერ., რომელიც ანგარიშვალდებულია რექტორის და საპატრიარქოს წინაშე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2026 წლის ბიუჯეტი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მოსწავლის უფლებების დაცვისა და გარანტიების საკითხი რამდენიმე ფუნდამენტურ დოკუმენტშია გაწერილი, რომლებიც ეყრდნობა როგორც საქართველოს კანონმდებლობას, ისე ბავშვის უფლებათა კოდექსს:

- განცხადება-საჩივრის განხილვის წესი - ეს დოკუმენტი მოსწავლის უფლებების დაცვის ერთ-ერთი მთავარი გარანტიაა, რადგან ქმნის საჩივრების განხილვის დამოუკიდებელ მექანიზმს: მუხლი 1, პუნქტი 1: წესი შემუშავებულია „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონისა და „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ საფუძველზე, ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპის დაცვით; მუხლი 2: წესის მიზანია სასკოლო საზოგადოების წევრების უფლებების დაცვა და ბავშვის ღირსების, კეთილდღეობის, უსაფრთხოების, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ინტერესების რეალიზება; მუხლი 4: მოსწავლეს უფლება აქვს გაასაჩივროს ნებისმიერი არამართლზომიერი ქმედება ან გადაწყვეტილება, რომელიც ლახავს მის კანონით მინიჭებულ უფლებებს; მუხლი 10, პუნქტი 4: მოსწავლეს აქვს მოსმენის უფლება ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას, რომელიც მის უფლებებს ეხება.
- მშობელთან ურთიერთობის დებულება - მუხლი 3, პუნქტი 2 (ვ): სკოლა-გიმნაზია პირდაპირ იღებს ვალდებულებას, რომ „დაიცვას მოსწავლის უფლებები და ინტერესები“; მუხლი 3, პუნქტი 5 (დ): მშობელს აქვს უფლება, სკოლას მოსთხოვოს მისი შვილის უფლებების დაცვა.
- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები - მუხლი 1, პუნქტი 2 (ა): წესის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ბავშვთა უფლებების დაცვა და მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება; მუხლი 5, პუნქტი 1: სკოლა ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში ყველა მოსწავლეს გააცნოს მათი უფლებები და წესები.
- შინაგანაწესი - მუხლი 13, პუნქტი 4 (ა): კლასის ხელმძღვანელი ვალდებულია დაიცვას მოსწავლის უფლებები და ინტერესები; მუხლი 57: მოსწავლის მიმართ დისციპლინური წარმოებისას გარანტირებულია მისი და მისი მშობლის მონაწილეობა პროცესში, ასევე ახსნა-განმარტების ჩამორთმევა კანონიერი წარმომადგენლის თანდასწრებით; მუხლი 57, პუნქტი 4: დაწესებულია უფლებრივი გარანტია, რომლის მიხედვითაც დაუშვებელია დაწყებით და საბაზო საფეხურზე მოსწავლის სკოლიდან გარიცხვა.
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი - მუხლი 1, პუნქტი 2: დოკუმენტი უზრუნველყოფს მოსწავლეთა და მშობელთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და უფლებების დაცვას მონაცემთა დამუშავებისას; მუხლი 7, პუნქტი 5: კრძალავს მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა თუ ქცევითი პრობლემების საჯარო განხილვასა და გავრცელებას.
- სასწავლო გეგმა - საორგანიზაციო კულტურა: სკოლა ორიენტირებულია მხარდაჭერაზე და არა დასჯაზე, რაც ქმნის პოზიტიურ გარემოს მოსწავლის უფლებების რეალიზებისთვის; ინკლუზიური განათლება: სკოლა უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეებისთვის განათლების მიღების თანაბარ შესაძლებლობას და მათ ინტერესებზე მორგებულ გარემოს

ამასთან ერთად სკოლას შემუშავებული აქვს ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, რომელიც კიდევ ერთი გარანტია მოსწავლის უფლებების დასაცავად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის რეგულაციები, ყველა ზემოთ აღწერილი დოკუმენტი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. ზოგიერთი მათგანი ხელმისაწვდომია სკოლის ვებგვერდზე, ზოგიერთი - საინფორმაციო დაფაზე, ზოგიერთი ორივეგანაა განთავსებული. გარდა ამისა, სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომლის განუყოფელი ნაწილია შინაგანაწესი და ხელმოწერით დასტურდება შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი. ამასთან, სკოლის მიერ წარმოდგენილი, დამრიგებლის დებულების და სადამრიგებლო პროგრამის მიხედვით, დამრიგებელი ვალდებული არის სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს გააცნოს სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის მიზანია ორ მხარეს შორის წარმოშობილი ურთიერთობების დარეგულირება; ხელშეკრულებაში გაწერილია ნომერი, თარიღი, ზოგადი დებულებები, ხელშეკრულების საგანი, სკოლის საქმიანობა, მხარეთა უფლება-მოვალეობანი, მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები და სხვა. შინაგანაწესი განსაზღვრულია, როგორც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- განცხადება-საჩივრის განხილვის წესი;
- მშობელთან ურთიერთობის დებულება;
- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები;

- შინაგანაწესი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი;
- სასწავლო გეგმა;
- ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე მექანიზმები წარმოდგენილ დოკუმენტებში შემდეგ მუხლებშია ასახული:

ზოგადი რეგულირება: შინაგანაწესის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი პირდაპირ განსაზღვრავს, რომ ეს დოკუმენტი ადგენს მოსწავლეთა ჩარიცხვის, სხვა კლასში გადაყვანის, კლასში დატოვებისა და გიმნაზიიდან გარიცხვის დეტალურ პირობებსა და წესებს.
ჩარიცხვა და მობილობა: - ჩარიცხვის დეტალური წესი და პროცედურები მოცემულია შინაგანაწესის 25-ე მუხლში, სადაც გაწერილია ჩასარიცხად საჭირო პირობები (მათ შორის რელიგიური კუთვნილება), წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და სხვა სკოლიდან გადმოსული (მობილობის) მოსწავლეებისათვის აუცილებელი დამატებითი საბუთები. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მექანიზმი ასევე განსაზღვრულია ამავე მუხლის მე-7 პუნქტში. სასწავლო გეგმაში მობილობის საკითხი დამატებით რეგულირდება შემაჯამებელი დავალებების ქულების გამოანგარიშების კონტექსტში.
საფეხურის დაძლევა: - კლასისა და საფეხურის დაძლევის მკაფიო მექანიზმები მოცემულია სასწავლო გეგმის შესაბამის თავში — „კლასისა და საფეხურის დაძლევა“, რომელიც ადგენს, რომ კლასი/საფეხური დაძლეულად ითვლება, თუ თითოეული საგნის წლიური ქულა არის 5.0 ან მეტი.
სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა: - სტატუსის შეწყვეტის (გარიცხვის) საკითხი, როგორც დისციპლინური პასუხისმგებლობის უკიდურესი ზომა საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის, განსაზღვრულია შინაგანაწესის 55-ე მუხლის მე-2 (თ) პუნქტით.

ამასთან, 57-ე მუხლის მე-4 პუნქტით გარანტირებულია, რომ დაწყებით და საბაზო საფეხურზე მოსწავლის სკოლიდან გარიცხვა დაუშვებელია.

გამჭვირვალობა და ინფორმირებულობა: - „მშობელთან ურთიერთობის დებულების“ მე-6 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, მშობლის ინფორმირება მოსწავლის სტატუსთან დაკავშირებულ სავარაუდო შედეგებზე ხდება სასწავლო წლის დასაწყისშივე, რაც უზრუნველყოფს პროცედურების გამჭვირვალობას. აღნიშნული შიდა რეგულაციები შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების პროცესის ახორციელებს საკუთარი რეგულაციებით, ანუ როგორც წინა ინდიკატორში აღინიშნა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოსწავლის ჩარიცხვა მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე ხორციელდება, დაცულია პროცედურები და ვადები; კანონთან შესაბამისობაშია სკოლაში ჩარიცხვის მსურველი პირის წარსადგენი დოკუმენტაცია. მოსწავლეთა მიღების, ჩარიცხვის დროს სკოლა ითვალისწინებს განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპს. სკოლამ გადმოაგზავნა თითოეული პროცედურის შესაბამისი ბრძანებები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, მომსახურების სახეების, პროგრამების, საფასურებისა და შიდა პოლიტიკის საჯაროობა და გამჭვირვალობა რამდენიმე არხითა და მექანიზმით ვლინდება: ინფორმაციის გავრცელების არხები სკოლას განსაზღვრული აქვს კონკრეტული პლატფორმები, სადაც აღნიშნული ინფორმაცია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვისაა ხელმისაწვდომი: ოფიციალური ვებგვერდი - (gmgimnazia.ge), ეს არის ძირითადი წყარო, სადაც სხვა ინფორმაციასთან ერთად განთავსებულია პროგრამების დასახელებები, ჩარიცხვის პროცედურები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მოთხოვნები; სოციალური მედია და ონლაინ პლატფორმები - სკოლა იყენებს სოციალურ ქსელებსა და

მართვის ელექტრონულ სისტემას (EduPage) მიმდინარე სიახლეების, აქტივობების, წრეებისა და კლუბების მუშაობის გასაშუქებლად. საინფორმაციო დაფები - სკოლის შენობაში (დერეფნებში, სამასწავლებლოში) განთავსებულია ინფორმაცია წრეების, კლუბების, ვაკანსიებისა და უსაფრთხოების წესების შესახებ. ინფორმირებისთვის სკოლა იყენებს სასწავო წლის დასაწყისში და შემდგომ მშობელთა კრებებს. სასწავლო წლის დაწყებისას კლასის ხელმძღვანელი ვალდებულია მოსწავლესა და მშობელს გააცნოს მათი უფლება-მოვალეობები, შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი და სასწავლო კურიკულუმის შესაბამისი საკითხები. ხოლო მშობელთა კრებებზე, რომლებიც სემესტრში მინიმუმ ორჯერ იმართება კრებები, მშობლებს მიეწოდებათ ინფორმაცია სკოლის საქმიანობის, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ.

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების, რესურსების და დამატებითი მომსახურების შესახებ მოცემულია სასწავლო გეგმაში და დეტალურადაა აღწერილი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის პროგრამები, საათობრივი ბადე და გამოყენებული სახელმძღვანელოების ნუსხა. აღნიშნულია, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსების შესახებ ინფორმაცია საჯაროა. ინფორმაცია უფასო წრეების (გალობა, ცეკვა, მედავითნეობა) და კლუბების პროგრამების, განრიგისა და პირობების შესახებ საჯაროდ ქვეყნდება ვებგვერდზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობებისა და რესურსების შესახებ კანონმდებლობას შეესაბამება, არის გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლის დირექცია, დამრიგებლები, პედაგოგები, მუდმივად ახდენენ საზოგადოების ინფორმირებას სკოლაში მიმდინარე, მათდამი დაქვემდებარებული პროცესების, ფორმალური ან/და არაფორმალური განათლების ფარგლებში დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების შესახებ. სკოლის საინფორმაციო სივრცეებში მატერიალურად ხდება ინფორმაციის განთავსება და მისი პერიოდული განახლება, დამრიგებლები გეგმავენ და ატარებენ მშობელთა კრებებს;. სასკოლო თემის ინფორმირების მიზნით გამოიყენება სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (Facebook). დაწესებულება ზრუნავს, რომ მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია იყოს ობიექტური და სწორი, თანაბრად ხელმისაწვდომი, არ იყოს დისკრიმინაციული, არ შელახოს პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები. სკოლა-გიმნაზიას შინაგანაწესით განსაზღვრული ჰყავს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც საჯარო ინფორმაციას აწვდის ნებისმიერ დაინტერესებულ პირს

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *ხელშეკრულება მშობელთან/ კანონიერ წარმომადგენელთან;*
- შინაგანაწესი;
- დამრიგებლის დებულება;
- *სადამრიგებლო პროგრამა;*
- *მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობის, კლასისა და საფეხურის დაძლევის ბრძანებები;*
- *დაწესებულების გვერდი და სოციალურ ქსელი.*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. ის წარმოადგენს შიდა სასკოლო დოკუმენტს, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლეების სასკოლო ცხოვრებასთან ინტეგრაციის ხელშეწყობას, განსაზღვრავს ადაპტაციის მექანიზმებსა და პროცედურებს, რომლებიც ვრცელდება სკოლის ყველა დასაქმებულზე, მოსწავლეებსა და მათ მშობლებზე. დოკუმენტის მიხედვით, ადაპტაციის ძირითადი მიზანია, ახალი მოსწავლის სწრაფი ინტეგრაცია, სოციალიზაცია, საჭირო უნარების გამომუშავებაში დახმარება. წარმატებული ადაპტაციისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებები, სასკოლო მზაობის დონე და სხვ. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მასწავლებლების და მშობლების პოზიტიურ დამოკიდებულებას და ჩართულობას ამ პროცესში. წესის მოქმედება შეეხება პირველკლასელებს, მობილობით გადმოსულ მოსწავლეებს და სხვ. წესში მოცემულია მოსწავლის წარმატებული ადაპტაციის ნიშნები, ასევე დეზადაპტაციის ნიშნები, მასზე რეაგირების ფორმები და რეკომენდაციები არსებული პრობლემების დასაძლევად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის და „მოსწავლეთა ადაპტაციის წესის“ მიხედვით, ამ პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დამრიგებლის როლი. დამრიგებელმა უნდა გააცნოს ახალი მოსწავლე კლასს, წაახალისოს მოსწავლეები რომ დაამყარონ კომუნიკაცია კლასის ახალ წევრთან, წარუდგინოს ახალი მოსწავლის მშობელი სხვა მშობლებს და ა.შ. ასევე, დამრიგებლის დებულებაში, ერთ-ერთ ვალდებულებად გაწერილია მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციაში დახმარება. სკოლას აქვს პრაქტიკა სასწავლო წლის ბოლოს მომავალ პირველკლასელებს მოუწყოს სკოლაში დახვედრა. ამ დროს იმართება გასართობი ღონისძიება. მომავალ პირველკლასელთა მომავალი მასწავლებელი აწყობს საზეიმო მიღებას წინასწარ მორთულ საკლასო ოთახში. შემდგომ ეტაპზე ხდება მათთვის სკოლის ინფრასტრუქტურის გაცნობა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლა ეხმარება მოსწავლეებს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების პროცესში და უწევს შესაბამის მხარდაჭერას რამდენიმე მიმართულებით. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესებაზე და შესაძლებლობათა სრულფასოვან რეალიზაციაზე; დოკუმენტი ადგენს, რომ საშემოდგომო გამოცდამდე ორი კვირის განმავლობაში „სკოლა-გიმნაზია გაუწევს კონსულტაციებს მოსწავლეებს იმ საგანში/საგნებში, რომლებშიც მათ ვერ გადალახეს დადგენილი ბარიერი“. ასევე მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას ემსახურება სპეციალური

მასწავლებლის მხარდაჭერა: სსსმ მოსწავლეებისთვის სპეციალური მასწავლებელი უზრუნველყოფს დამატებით მეცადინეობებსა და კონსულტაციებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების სქემები, რომლებიც მოსწავლეებისათვის ეფექტური უკუკავშირის მიცემაზეა ორიენტირებული მიზნად ისახავს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას; საჭიროების შემთხვევაში სკოლა მზად არის ექსტერნის გამოცდამდე მოსწავლეს ჩაუტაროს კონსულტაცია და დაეხმაროს მათ აკადემიური პრობლემების გადაჭრაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

მოსწავლისათვის კანონმდებლობითა დადგენილი უფლებების რეალიზებისთვის, სკოლა ახორციელებს სათანადო ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. სკოლა დროულ და ამომწურავ ინფორმაციას აწვდის ასევე მოსწავლეებსა და მათ მშობლებს დაგეგმილი ღონისძიებებისა თუ მათთვის საინტერესო აქტივობების შესახებ, რაც დასტურდება მოსწავლეებისა და მათი მშობლების აქტიური ჩართულობით სხვადასხვა ღონისძიებებში. საჭიროების შემთხვევაში აღმასრულებელი დირექტორი განიხილავს საკითხის მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება/არდაშვების შესახებ, ანალოგიურად, საჭიროების შემთხვევაში, სკოლა ორგანიზებას უწევს ექსტერნატის გამოცდის ჩატარებას, შესაბამისი საფუძვლით. ყოველივე ეს მაჩვენებელია, რომ სკოლა ხელს უწყობს მოსწავლის მიერ განათლების შეუზღუდავად მიღების უფლების უზრუნველყოფას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას მოქმედი კანონმდებლობისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის ჩართულობით. მიმდინარე სასწავლო წელს გიმნაზიაში მოქმედებს სხვადასხვა კლუბები და წრეები. გარდა ამოსა სკოლა ახორციელებს სასკოლო პროექტებს: ყოველწლიური საშობაო ფესტივალი „გენეთლია“; ჯანსაღი ცხოვრება; ქრისტიანული კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა და დაცვა. ყველა შემთხვევაში აქტივობები ხორციელდება კვალიფიციური კადრის მეშვეობით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლა-გიმნაზია სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის საფუძველზე აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის საფუძველზე დაიგეგმა და განხორციელდა მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება; მე-5 კლასში მეორე უცხოური ენის არჩევა; გასული სასწავლო წლის წრეების და კლუბების მიმდინარე სასწავლო წელსაც განხორციელება. უკუკავშირები ელექტრონული ჟურნალის საშუალებით მიიღეს. სკოლა მუდმივად ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების უკუკავშირს კურიკულუმების შემუშავების და რევიზიის დროს და არსებული გამოცდილების ანალიზს იყენებს პრაქტიკის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მოსწავლის ადაპტაციის წესი;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *დამრიგებლის დებულება;*
- *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.*

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლაში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის. აღნიშნული საკითხები ინტეგრირებულია სადამრიგებლო საათის ფარგლებში, სადაც განიხილება პროფესიის შერჩევასთან დაკავშირებული თემა - „შენი მომავალი პროფესია“.

დამრიგებლის დებულების შესაბამისად, დამრიგებელი ხელს უწყობს მოსწავლეებს საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების აღმოჩენაში, მათი განვითარებისა და სამომავლო გეგმების დასახვაში. გარდა ამისასკოლა ჩართულია პროექტში „თსუ დესპანი“, რომელიც მიზნად ისახავს სკოლის მოსწავლეებისთვის უნივერსიტეტის გაცნობას. ასევე ამავე მიზნით სკოლასი მოდის სამხედრო აკადემიის წარმომადგენელი და მოსწავლეებს აცნობს სამხედრო აკადემიაში არსწებულ პროფესიებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა, ახდენს მოსწავლეების / მათი მშობლების, კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებას პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული განვითარების საკითხებთან დაკავშირებით; აღნიშნული საკითხის ორგანიზებას, როგორც აღნიშნული იყო, პირველ რიგში, ახორციელებენ დამრიგებლები, რომლებიც თავიანთი კომპეტენციისა და სამოქმედო გეგმების ფარგლებში გეგმავენ და ატარებენ სადამრიგებლო საათს შესაბამის საკითხებზე, უზრუნველყოფენ, მშობლებთან, მოსწავლეებთან ერთობლივ შეხვედრებს. სკოლა დაინტერესებულია, რომ მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია სანდო და განახლებადი იყოს. ამ მიზნით ყოველწლიურად სკოლა-გიმნაზიას სტუმრობს სხვადასვა უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლები და მოსწავლეებს უწყობენ „ღია კარის დღეს“. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან. განხორციელდა ონლაინ ჩართვა გეოგრაფიული პროექტის „გლაციოლოგიას“ ფარგლებში. მოეწყო ვიზიტები კასპისა და გორის პროფესიულ სასწავლებლებში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა მომსახურების ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს უკვე გაწეული საქმიანობის შედეგების ანალიზს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს იმას, რომ მიღებული გამოცდილება და უკუკავშირი გახდეს საფუძველი მომავალში უფრო ეფექტური და მიზანმიმართული ნაბიჯების გადადგმისთვის. ამ პროცესში სკოლა აფასებს როგორც მოსწავლეთა მიღწევებს, ისე მათი ჩართულობის ხარისხს, რაც ეხმარება საჭიროებების უკეთ გააზრებასა და შესაბამისი პროგრამების განვითარებას. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა მუხლი 1, პუნქტი 1 პირდაპირ განსაზღვრავს, <u>რომ ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები გამოიყენება სკოლა-გიმნაზიის მიერ შეთავაზებული სერვისების</u>

პერიოდული და სისტემური შეფასებისა და მუდმივი განვითარებისთვის. ასევე, ამავე დოკუმენტის მუხლი 5, პუნქტი 4-ის მიხედვით, ხარისხის მართვის სპეციალისტი შეფასებას ახორციელებს პროცესის დოკუმენტზე დაყრდნობით და გასცემს რეკომენდაციებს პროცესის განხორციელების პრაქტიკის გაუმჯობესების შესახებ.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სადამრიგებლო პროგრამა;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა.*

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში შემუშავებულია სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები. კერძოდ, განსაზღვრულია მოსწავლეთა სირთულეების იდენტიფიცირებისა და სსსმ სტატუსის მოპოვების პროცედურები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და მონიტორინგის წესი და სკოლის ვალდებულებები სსსმ მოსწავლის მხარდაჭერის კუთხით. ასევე, განსაზღვრულია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის პროცესი, პასუხისმგებელი პირები და პერიოდულობა.
ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში ამ ეტაპზე არ ირიცხება სსსმ მოსწავლე. მიუხედავად ამისა, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ დაწესებულება მზად არის ნებისმიერ დროს სსსმ სტატუსის მქონე მოსწავლის მიღებისა და მასთან მუშაობისთვის — როგორც მარეგულირებელი დოკუმენტაციის, ასევე შესაბამისი პროცედურებისა და მექანიზმების თვალსაზრისით.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლის სასწავლო გეგმის ინკლუზიური განათლების მიხედვით, სსსმ მოსწავლესთან მუშაობის პროცესი ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. კერძოდ, რეგულაციის ისგ ჯგუფი ვალდებულია მჭიდრო კომუნიკაცია ჰქონდეს მშობელთან, სისტემატურად განიხილოს მიღწევები და სირთულეები, ასევე საკუთარი შედეგები გაუზიაროს სასკოლო საზოგადოებას და მასთან ერთად დასახოს წინსვლის გეგმები. გარდა ამისა, სკოლა ვალდებულია წელიწადში ორჯერ პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე მოისმინოს და შეაფასოს ისგ ჯგუფის მუშაობა, ხოლო სასწავლო წლის ბოლოს მონიტორინგის ჯგუფმა უნდა შეაფასოს ისგ ჯგუფის შედეგები. ამასთან, სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუაობის მექანიზმიც.

სკოლაში ამ ეტაპზე ირიცხება 6 სსსმ მოსწავლე. თითოეული მათგანისთვის სკოლას შექმნილი ჰყავს ისგ ჯგუფები, რომლებმაც თავის მხრივ შეიმუშავეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ისგ ჯგუფები ატარებენ შეხვედრებს და მსჯელობენ ისგ-ის მიმდინარეობასა და მისაღწევ მიზნებზე. საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ კორექტირება გეგმაში. სკოლამ წარმოადგინა ინდგეგმები და ისგ ჯგუფის ოქმები. წარმოდგენილი დოკუმენტაცია აჩვენებს, რომ სკოლა აცნობიერებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის მნიშვნელობას სსსმ მოსწავლის მხარდაჭერის პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება;*
- *ისგ ჯგუფის ოქმები;*
- *ინდგეგმები.*

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლაში მოქმედებს ბუფეტი, სკოლა დარეგისტრირებულია ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში (რეგისტრაციის NE26062443) და შემოწმებულია სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ 2025 წლის 4 ნოემბერს, სკოლამ წარმოადგინა გეგმიური შემოწმების შესაბამისობის შეფასების აქტი - N 1B38D0445F1187, რომლის მიხედვით შემოწმების შედეგად კრიტიკული შეუსაბამობა არ დაფიქსირებულა, თუმცა მითითებული იყო, რომ პერსონალმა უნდა გაიაროს სწავლება ან/და ინსტრუქტაჟი სურსათის ჰიგიენასთან და HACCP-ის პრინციპებზე დაფუძნებულ სისტემასთან დაკავშირებით, რაც პერსონალმა უკვე გაიარა და სკოლამ წარმოადგინა ტრენინგის გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატები.
გარდა ამისა, სკოლა მოსწავლეებს ამ ეტაპზე სთავაზობს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას - **გახანგრძლლივებული სწავლების ჯგუფი** I-VI კლასის მოსწავლეებისთვის, რომელიც ძირითადი საათობრივი ბადის შემდეგ იწყება III-VI კლასის მოსწავლეებისთვის, ხოლო I-II კლასის მოსწავლეებისთვის იწყება სავალდებულო **გახანგრძლივებული სასწავლო პროცესის** დამთავრების შემდეგ, რომელიც I კლასის მოსწავლეთათვის სრულდება 15:30 სთ.-ზე, ხოლო II კლასელთათვის 16:00 სთ.-ზე. გახანგრძლივებული სწავლების ჯგუფი სკოლაში მუშაობს 18:00 საათამდე..

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლა მოსწავლეებს ამ ეტაპზე სკოლაში სთავაზობს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას წრეების სახით. ეს მომსახურეობებია

- სიმღერისა და გალობის წრე
- ქართული ცეკვის წრე
- მედავითნეობის წრე
- კომპიუტერული ტექნოლოგიების კლუბი „ალგორითმი“;
- ნორჩ მკვლევართა კლუბი „ქიმიკოსი XXI“;
- ხალხურ საკრავთა წრე;
- ლიტერატურული კლუბი.

თითოეულ მათგანში ჩართვა ნებაყოფლობითობის პრინციპზეა. გარდა ამისა, სკოლა-გიმნაზიაში 2025-2026 სასწავლო წელს დაგეგმილია ჩატარდეს: ყოველწლიური საშობაო ფესტივალი გენეთლია, საქველმოქმედო პროექტები, შემოქმედებითი და სპორტული ღონისძიებები, საკლასო და საგიმნაზიო სასწავლო კონფერენციები, სასწავლო-საგანმანათლებლო ექსკურსიები, მოგზაურობები, ლაშქრობები და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

დამატებითი ხასიათის მომსახურეობა მონაწილეობა ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- სურსათის ეროვნული სააგენტოს გეგმიური შემოწმების შესაბამისობის შეფასების აქტი;
- ამონაწერი ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრიდან;

- HACCP-ის ტრენინგის გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატები;
- წრეების დებულებები/წესდებები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება**

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის წესდების მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, დამტკიცდა სკოლა-გიმნაზიის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი *(2024 წლის 15 აგვისტო, ბრძანება N 03/23),* რომელშიც აღწერილია კურიკულუმის შემადგენელი ნაწილები, კურიკულუმის განვითარების ეტაპები, კურიკულუმის შემუშავება, დანერგვა, მონიტორინგი და რევიზია. კურიკულუმის შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესებს და შეხედულებებს. მეთოდოლოგია განსაზღვრავს პროცესში ჩართული მხარეების ფუნქციებს და საზოგადოების ინფორმირების შესაძლებლობას. კურიკულუმის ფორმირებაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების (მშობელი/კანონიერი წარმოადგენელი, მოსწავლეები, მასწავლებლები) და დირექციის უშუალო მონაწილეობა. სასკოლო საზოგადოების საუკეთესო ინტერესების ინტეგრირება მიმდინარეობს სასწავლო წლის სხვადასხვა მონაკვეთში ჩატარებული გამოკითხვებისა და პროცესზე დაკვირვებით მიღებული მონაცემების საფუძველზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. წარმოდგენილი დოკუმენტების, ასევე ავტორიზაციის ექსპერტებსა და სკოლა-გიმნაზიის წარმომადგენლებს შორის გამართული ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები. მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინება უმეტესად ხორციელდება საკლასო, სასკოლო და არაფორმალური აქტივობების დაგეგმვა-განხორციელების პროცესში, აგრეთვე, საკლასო, საშინაო თუ შემოქმედებითი ხასიათის შემაჯამებელი დავალებების შესრულების ფორმატების შერჩევისას. უნდა აღინიშნოს, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესი ეფუძნება წინარე გამოცდილების გათვალისწინებას. საავტორიზაციო პროცესში წამოდგენილია მშობელთა კრებების ოქმები, რომლებიც ადასტურებს მშობელთა ინფორმირებას და ჩართულობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიაში დანერგილია ურთიერთთანამშრომლობის პრაქტიკა. 2025-2026 სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმები მასწავლებლებისა და სკოლა-გიმნაზიის დირექციის ერთობლივი მუშაობით დაიგეგმა. კათედრის წევრებს შორის თანამშრომლობით და ერთმანეთთან შეთანხმებით დადგინდა შესასწავლი თემები და საკითხები სამიზნე ცნებებთან მიმართებით. აღნიშნულ პროცესში გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, შესაძლო საჭიროებები და ინტერესები, ასევე კოლეგების შეხედულებები და რეკომენდაციები. მასწავლებლები კურიკულუმის შექმნისას განიხილავენ თითოეული თემის შესაბამის საკითხს, მსჯელობენ ამ საკითხის შესახებ მოსწავლეებისა და მშობლების უკუკავშირის საფუძველზე.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიური ჩარჩო ითვალისწინებს გაზიარების ორ ძირითად მიმართულებას: შემუშავების პროცესში ჩართულობა და შემუშავებული დოკუმენტის ძირითადი შინაარსის გაცნობა სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის. სასწავლო წლის დასაწყისში კლასის ხელმძღვანელები, მოსწავლეებს და მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს დეტალურად აწვდიან ინფორმაციას კურიკულუმით განსაზღვრული საგანმანათლებლო პროცესების სპეციპიკას და ცალკეული მახასიათებლებს.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *„ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“, სკოლა-გიმნაზიის რექტორის 2024 წლის 15 აგვისტოს N 03/23 ბრძანება;*

- *„ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიაში 2025-2026 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ორგანიზების შესახებ" , გორის სკოლა-გიმნაზიის რექტორის 2025 წლის 10 სექტემბრის N 03/29 ბრძანება;*
- *საგნობრივი კათედრების ოქმები;*
- *სამივე საფეხურის კურიკულუმები;*
- *კლასის კრების სხდომის ოქმები.*

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კურიკულუმების გაცნობისას საზოგადოების ინტერესები ჩანს კურიკულუმის თემატურ დაგეგმვაში. როგორც ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები, რომელთა დადგენა მშობლებთან გამოკითხვით ხდება. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს განაცხადეს, რომ კათედრის თითოეული წევრი კურიკულუმში საერთო ინტერესებისა და ღირებულებების ასახვის პროცესის უშუალო მონაწილეა. სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც აღწერილი არის კურიკულუმის შემადგენელი ნაწილები და პრინციპები, რომელთაც კურიკულუმის განვითარების პროცესი ეფუძნება. .მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა,რომ სამივე საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კურიკულუმებში არ არის ქვეცნებები, კათედრის ერთიანი ხედვიდან გამომდინარე. წარმოდგენილი დოკუმენტიდან ჩანს, რომ სასკოლო კურიკულუმის

	განვითარების პროცესში ჩართულები არიან მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები და დირექცია და გათვალისწინებული არის სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. კურიკულუმის შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია. მნიშვნელოვანია როგორ დააკავშირებს მოსწავლე მიღებულ ცოდნას რეალურ ცხოვრებასთან, რათა განსაზღვრონ შუალედური სასწავლო მიზნების წარმოდგენის ფორმები შემოქმედებითი პროდუქტის სახით. რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს საზოგადოების სრულფასოვანი წევრის ჩამოყალიბებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სასურველია, აქცენტი გაკეთდეს საბაზო და საშუალო საფეხურზე თემის ფარგლებში მეტი კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. ასევე, განახორციელონ შემაჯამებლების მრავალმხრივ საინტერესოებისა და მრავალფეროვნების მიზნით სხვადასხვა ტიპის დავალებები. დაწყებით საფეხურზე სასურველია კურიკულუმში თვალსაჩინოების ჩამონათვალი, ან გამოყენებული რესურსები უფრო მრავალფეროვანი იყოს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, საქართველოს ისტორია, ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) სამივე საფეხურზე დაფუძნებულია ესგ- ის პრინციპებზე. კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილია საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული საგნობრივი თემები, რომლის ფარგლებში ასახულია საკითხები, მოკლევადიანი (შუალედური) და გრძელვადიანი მიზნები (სამიზნე ცნებები), სასწავლო რესურსები რის მიხედვით მოსწავლე მოახდენს შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას (მაგ: მე და საზოგადოება- „ბუკლეტის შექმნა“; ჩვენი საქართველო- „პლაკატის შექმნა“; მოქალაქეობა- „ვიდეორგოლი/ბუკლეტი ადიქციის შესახებ“; ისტორია- „სტატია თემურ- ლენგის ლაშქრობების შესახებ“; გეოგრაფია-

	„საგაზეთო სტატიის შექმნა წყნარი ოკეანის დაბინძურებით გამოწვეული პრობლემის შესახებ“ და სხვ.) და საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგებზე გასვლას, რაც მკაფიოდ არის ასახული კურიკულუმებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებისა და მასწავლებლებთან, გასაუბრების შედეგად შეგვიძლია ვთქვათ , რომ შემუშავებული კურიკულუმი წარმოოდგენს მოსწავლეზე ორიენტირებლი პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმებზე მუშაობისას ჩართულია სრულად სასკოლო საზოგადოება. კურიკულუმებში თემები, დავალებები, რესურსები , ძირითადი კონტექსტ მაგალითები სრულ კორელაციაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის შემოქმედებით პროდუქტის მაგალითებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. კურიკულუმებში არსებული მოცემულობა და პედაგოგებთან გასაუბრებამ აჩვენა კურიკულუმის შექმნასა და განხორციელებაში ჩართული ყველა მხარე მხოლოდ ორიენტრებულია მოსწვლეთა შედეგებსა და საჭიროებებზე. ამასთან ერთად დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა რომ უცხოური ენების (ინგლისური ენა , რუსული ენა ,გერმანული ენა) კათედრის წევრების მიერ შემუშავებული ყველა კურიკულუმი სამივე საფეხურზე წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ და მის ინტერესებზე, პროცესის, დაგეგმავასა და განვითარებაზე მორგებულ გზამკვლევს.. ფოკუსირება ხდება გრძელვადიან მიზნებსა და სამიზნე ცნებებზე. ინდივიდუალური მიდგომებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით შედეგები განისაზღვრება მთლიანად სასწავლო კურსის ფარგლებში. ამის დასტურად შეიძლება დასახელდეს უცხოური ენების კათედრის მიერ დაორგანიზებული პროექტიდან, წარმოდგენილი გეგმა და მოსწავლეთა ვიდეო ჩანაწერები ,, რატომ ვსწავლობთ უცხოურ ენებს”. პრეზენტაცია

	ინგლისურ ენაში ,, ლონდონის ღირშესანიშნაობები", პროექტიდან ვიდეო მაგალითები ,, კულინარიული კუთხე" ინგლისურ ენაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:.** ● სასურველია ყველა კურიკულუმებში იყოს მოცემული საათების რაოდენობა, რომელი თემის ფარგლებში რა სათობრივ დატვირთვას საჭიროებენ. ● სასურველია პროექტი და შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელი დავალება იყოს გამიჯნული ერთმანეთისგან, მაგალითად დასათაურება ,, Prepare a poster about a desert " ეს მიეკუთვნება კომპლექსური ბუნების ტიპის დავალებას . ● სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩასწორდეს ინფორმაცია გერმანული ენის სწავლების შესახებ, რომ გერმანული ისწავლება ყველა საფეხურზე და არა მხოლოდ დაწყებით საფეხურზე.
ესთეტიკური აღზრდა	შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასში წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებები, პროექტები და აქტივობები ეფუძნება იმ პრინციპებს, რომლებიც მოსწავლის ინტერესების, შესაძლებლობების, საჭიროებებისა და ინდივიდუალური განსხვავებების გათვალისწინებას გულისხმობს. კურიკულუმი ორიენტირებულია არა მხოლოდ აკადემიური ცოდნის გაღრმავებაზე, არამედ იმ უნარებისა და კომპეტენციების განვითარებაზე, რომლებიც აუცილებელია მოსწავლის პიროვნული, სოციალურ-ემოციური და შემოქმედებითი ზრდისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის სამივე საფეხურის მასწავლებლები ცდილობენ ისე შეიმუშავონ კურიკულმები, რომ მოსწავლის განვითარებაზე იყოს ორიენტირებული. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კათედრის წევრები თანხმდებიან თემატურ საკითხებზე, შეფასების ინსტრუმენტებსა და დანერგვის

	მექანიზმებზე , ისინი თანამშრომლობენ მშობლებთან და ბავშვებთან , რათა მათი უკუკავშირის გათვალისწინებით სასწავლო პროცესი მოერგოს მოსწავლეთა საჭიროებებსა და შესაძლებლობებს, რაც ხელს უწყობს მათ სწორად განვითარებას. სკოლაში ფუნქციონირებს ,,მშობელთა საბჭო", რომლის წევრთა შეხვედრების ოქმები სკოლას მტკიცებულებად აქვს წარმოდგენილი. კურიკულუმის ჩარჩოებში ჩანს, რომ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება , შემოქმედებითი დავალებების იდეები (სწავლების შუალედური მიზნები) უკავშირდება შესაბამის სასწავლო შინაარსს. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას საჭირო რესურსების მრავალფეროვნება ცხადყოფს, რომ მოსწავლის განვითარება მხოლოდ სახელმძღვანელოთი არ შემოიფარგლება და სხვადასხვა ინსტრუმენტს ითვალისწინებს. მაგალითად, ანიმაციურ ფილმებს, ილუსტრაციებს, დამატებით საკითხავ მასალს და ა.შ. აღსანიშნავია, რომ სკოლამ წარმოადგინა ძველი ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციაც (მაგ. V- VI- VII კლასებში ასომთავრულისა და ნუსხური დამწერლობის სწავლების ამსახველი კურიკულუები), რომელიც, მართალია, უკავშირდება ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მისაღწევ შედეგებს, მაგრამ ჩარჩო - დოკუმენტი სრულად არ ასახავს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას და მხოლოდ მშრალი ფორმულირებებითაა წარმოდგენილი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სასურველია, ძველი ქართული ენის კურიკულუმებშიც სკოლამ სრულყოფილად ასახოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები და შეიმუშაოს უფრო სრულყოფილი ჩარჩო- დოკუმენტები.
მათემატიკა	სკოლის მიერ მოწოდებული სასწავლო კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესების ერთობლიობას, რომელშიდაც გამოყოფილია ძირითადი ის სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც მიემართება სასწავლო წლის განმავლობაში შედეგების მიღწევის აუცილებელ გზამკვლევს სადაც ცხადად ჩანს სამიზმე ცნებები, თემები,

	რესურსები. რომელიც მიღებულია კათედრაზე თანამშრომლობის გზით, ასევე სურვილის არსებობის შემთხვევაში მშობელთა ჩართულობით. რაც უფრო ეფექტურს და მოსწავლეზე ორიენტირებულს ქმნის სასწავლო პროცეს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** **რჩევა;** სასურველია რომ კურიკულუმშივე სჩანდეს დაწყებით და საბაზო საფეხურზე სამიზნე ცნებებთან მიმართებით რომელ ქვეცნებებს ამუშავებს მასწავლებელი, და რა ძირითად ორიენტირს აკეთებს სწავლების დროს რათა კურიკულუმები გახდეს უფრო მოქნილი და ადვილად აღსაქმელი.
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ სამივე საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი დავალებები მოიცავს,ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს, შერჩეული თემები ორიენტირებულია ბავშვის ფიზიკური განვითარების, ცხოვრების ჯანსაღი წესის, ორგანიზებულობისა დათვითკონტროლის განვითარებაზე. ქვეცნებები და ქვესაკითხები შეესაბამება ერთმანეთს და ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების სასკოლო კურიკულუმი სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და საგნობრივ სტანდარტს. დოკუმენტი ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის პოტენციალის რეალიზებასა და გრძელვადიანი მიზნების (სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების) მიღწევაზე. კურიკულუმის ანალიზი აჩვენებს, რომ სწავლა-სწავლების პროცესი დაგეგმილია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომით, რაც

	დასტურდება შემდეგი ფაქტორებით: კურიკულუმში სასწავლო პროცესი აგებულია მოსწავლის წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით. რაც ითვალისწინებს ცოდნის ეტაპობრივ კონსტრუირებას, სადაც აქცენტი გადატანილია არა ინფორმაციის მექანიკურ დამახსოვრებაზე, არამედ მის გააზრებასა და ფუნქციურ გამოყენებაზე (ცოდნის სამივე კატეგორია: დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული). სწავლების ძირითად ინსტრუმენტად განსაზღვრულია კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლებიც მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და მრავალმხრივ ინტელექტს. დავალებების პროდუქტები (მაგ. ალგორითმების შექმნა, ვიზუალური პროგრამირების კოდები, ციფრული მოგზაურობა ინტერნეტში, და ა.შ) მოსწავლეებს აძლევს შემოქმედებითი თვითგამოხატვისა და საკუთარი ტემპით განვითარების შესაძლებლობას. კურიკულუმი ითვალისწინებს დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიებს, რაც უზრუნველყოფს განსხვავებული მზაობისა და საჭიროების მქონე მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე (I – IVკლასი) წარმოდგენილი კურიკულუმები შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმში ჩანს ისეთი დავალებები (მათემატიკა მეორე კლასი – „თანაკლასელების გამოკითხვა“; ქართული მესამე კლასი – კომიქსის შექმნა ; მე და საზოგადოება – მეოთხე კლასი–პროექტი “გაიცანი საქართველო”; ბუნებისმეტყველება – მეორე კლასი–”წერილი პერსონაჟის სახელით”), აქტივობები და რესურსები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას, დამოუკიდებელი აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და თანამშრომლობის უნარების განვითარებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პედაგოგები აცნობიერებენ კურიკულუმის მნიშვნელობას როგორც სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ძირითად ინსტრუმენტს. ისინი კურიკულუმს იყენებენ სასწავლო მიზნების განსაზღვრის, აქტივობების დაგეგმვისა და სასწავლო შედეგების

	მიღწევის უზრუნველსაყოფად, რაც ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პროცესის ეფექტურ განხორციელებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** *სასურველია, საგნობრივ კათედრებზე განისაზღვროს კურიკულუმების ერთგვაროვანი ფორმატი და სტრუქტურა. კურიკულუმებს დაამატონ შემოქმედებითი დავალებები.*

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე საბუნებისმეტყველო კათედრის წევრები ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმის შექმნაზე, კათედრის ოქმებში, კათედრის წევრების შეხვედრებზე, ხდება სხვადასხვა პროცესების გაანალიზება და შემდეგ გათვალისწინება. კურიკულუმი შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სამივე საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, საქართველოს ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია) ასახულია გრძელვადიანი მიზნები- სამიზნე ცნებები, რომლებიც მუშავდება ესგ-ით განსაზღვრული თემატური ერთეულების ფარგლებში კონკრეტული საკითხების მიხედვით, სადაც ცოდნის გამთლიანებას მოსწავლე შეძლებს შემოქმედებითი ტიპის

	დავალებების ფარგლებში და მოახდენს საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული შედეგებზე გასვლას. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოურ ენებში, კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ყველა თემის ფარგლებში სამივე საფეხურზე, მუშავდება სამიზნე ცნებები: ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები, კულტურათა დიალოგი. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს პედაგოგებმა კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ იკვეთება მოსწავლეების მუშაობა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებლად. მათი შესრულება მოსწავლეებისგან მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებას, თანამშრომლობას, კომუნიკაციას, მოქალაქეობრივ პოზიციას. შერჩეული დავალებები მოსწავლეებს უვითარებს შემოქმედებით აზროვნებას., შესაბამისად კურიკულუმი ხელს უწყობს უცხოური ენების სწავლისას მიღებული გამცოდილების, პრაქტიკულ გამოყენებას რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში, ამას მოწმობს მრავლად შემოთავაზებული კომპლექსური ბუნების მქონე დავალებების ნიმუშები და იდეები: მაგ: **ინგლისური ენა** : **დაწყებითი საფეხური:** ,, ჩემი საყვარელი სათამაშო, ,, ჩემი ტრანსპორტი", ,, ჩემი საგნები' ,, ჩემი საცხოვრებელი". **საბაზო საფეხური:** პრეზენტაცია/სტატია/ვიდეო თემაზე :Stay Local or Go Global? A debate. მინი კვლევა, თემაზე :''Change that changed me'' . პოსტერი/ბუკლეტი/ ვიდეო თემაზე : ''A Robot Friend''. **საშუალო საფეხური**: ,, ახალგაზრდების დასაქმება შტატებში,', ბრიტანეთი და თაობებს შორის ურთიერთობა". ,, პოსტერი თემაზე "სტერეოტიპები ჩემს ქვეყანაში". **რუსული ენა:**

	დაწყებითი საფეხური: მეგობრული წერილი ,, ვინ ვარ მე", ,, ჩემი ყოველდღიური რუტინა", **საბაზო საფეხური**: ,, ჩემი სკოლა, "„ ინტერვიუ ჩემთან". ,, ჩემი ალბომი, ,, დღესასწაულები", ,,ქალაქი, სადაც მინდა წასვლა". **საშუალო საფეხური:** ,, სტიქიური უბედურებები ჩვენს რეგიონში", ,,სიახლეების დაიჯესტი". **გერმანული ენა:** **დაწყებითი საფეხური:** პოსტერი თეაზე : ,, საყვარელი ცხოველი", ,, გაკვეთილების ცხრილი", ,, გენიალოგიური ხე" **საბაზო საფეხური:** ,, ,,სპორტი თავისუფალ დროს" , პრეზენტაცია ფოტოკოლაჟის დახმარებით თემაზე ,, საქართველოს ღირსშესანიშნავი ადგილები ", ტურისტული ადგილების შესახებ სარეკლამო განცხადების შექმნა , ,, შენი საყვარელი პროფესია და შენი სამომავლო გეგმები", წერილი მეგობარს როგორ წარმოგიდგენია შენთვის იდეალური მეგობარი ". **საშუალო საფეხური**: პრეზენტაცია თემაზე: „პროფესიული სკოლები გერმანიასა და საქართველოში", ესსე თემაზე: „სტუდენტებისა და პენსიონერების ცხოვრების სტილი გერმანიაში."ბუკლეტი თემაზე: „მნიშვნელოვანი ტურისტული ადგილები საქართველოში". სკოლა ყურადღებას უთმობს დიფერენცირებული სწავლების მიდგომებსა და ინდივიდუალური საჭიროებების მქონე მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში და სწავლის მრავლფეროვან სტილს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** ● სასურველია საათების რაოდენობა ყველა ენის კურიკულუმში იყოს

	გათვალისწინებელი. • პირველი კლასის ინგლისური ენის კურიკულუმში, სასურველია ჩანდეს ცნება ტექსტი. • სასურველია ინგლისური ენის საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმში ცნებები იყოს შემდეგნაირად ფორმულირებული: ჟანრი, სამეტყველო ქმდება, ენობრივი საშუალება, კულტურატა დიალოგი. • ინგლისუირ ენის კურიკულუმებში სამივე საფეხურზე, სასურველია იყოს დაკონკრეტებული, დასათაურებული, რა პროდუქტს ქმნის მოსწავლე. • სასურველია რუსული ენის მე - 5 კლასის კურიკულუმში მოცემული იყოს კომპლექსური დავალების იდეა. • სასურველია მე - 5 და მე - 6 კლასის რუსული ენის კურიკულუმში დამატებული იქნეს ცნება კულტურათა დიალოგი. • სასურველია მე - 7 , მე - 8 , მე - 9, მე - 10, მე - 11 , მე - 12 კლასის რუსული ენის კურიკულუმში ცნება ტექსტი შეიცვალოს ცნება ჟანრით. • მე - 5 და ე - 6 , მე - 9 კლასის გერმანული ენის კურიკულუმში სასურველია ჩანდეს რესურსების ჩამონათვალი კონკრეტულ თემებთან მიმართებაში. • სასურველია მე - 10 კლასის გერმანული ენის კურიკულუმში მოცემული იყოს ცნება კულტურათა დიალოგი. • სასურველია ტექნიკური ხარვეზები არ ჰქონდეს ფაილებს, არ იხსნება გერმანული ენის მე -8 და მე - 11 კლასის კურიკულუმები.
ესთეტიკური აღზრდა	შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები, მასში გაწერილი შემოქმედებითი დავალებებით მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. იგი ეფუძნება კომპეტენციებზე ორიენირებული სწავლების მიდგომებს და მიზნად ისახავს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას, კულტურული თვითშეგნების ჩამოყალიბებას და თვითგამოხატვის უნარის ფორმირებას. კურიკულუმში გაწერილი მიზნები და ამოცანები შესაბამისობაშია ესგ-ის საფუძველზე ჩამოყალიბებულ ზოგად და საგნობრივ კომპეტენციებთან. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ

	ზრდას, თანამშრომლობის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, რაც ეროვნულ დონეზე დასახული მიზნების რეალიზაციის წინაპირობაა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნები ქართული ენისა და ლიტერატურის სამივე საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია, ხოლო მათთან ერთად წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი მთლიანად მიემართება ამ მიზნების განხორციელებას. შემოთავაზებული კომპლექსური დავალებების იდეები ითვალისწინებს ისეთი უნარების განვითარებას , როგორებიცაა: შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება კომუნიკაცია და თანამშრომლობა. მაგალითად, III კლასის კურიკულუმში კომპლექსური დავალების იდეაა მოთხრობის გადაკეთება კომიქსად ჰ. ანდერსენის „კალის ჯარისკაცის“ მიხედვით. დავალების პირობა მოსწავლისგან მოითხოვს კომიქსში მოთხრობის მთავარი ეპიზოდების, პერსონაჟებისა და მოქმედების ადგილის წარმოჩენას. „დიალოგური ღრუბლების“ გამოყენებით პერსონაჟების საუბრის, ფიქრის ან განცდის გადმოცემას, შესაბამისი სასვენი ნიშნების დასმას და ამბის თანმიმდევრობის დაცვას.VII კლასში-ინტერვიუ ვაჟა-ფშაველასთან წინასწარ შემუშავებული 10-კითხვიანი კითხვარის გამოყენებით. XI კლასში-ნიკოლოზ ბარათაშვილის შესწავლილ ნაწარმოებებზე დაყრდნობით ანალიტიკური ესეს დაწერა თემაზე: „ნიკოლოზ ბარათაშვილი, როგორც რომანტიკოსი პოეტი“. დასახელებული შემოქმედებითი დავალებების იდეები ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების განხორციელებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკის კურიკულუმი სრულად შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. მასში დეტალურად არის გაწერილი ყველა საჭირო თემა და მისაღწევი შედეგი. გეგმიდან ნათლად ჩანს, რომ აქცენტი ცოდნის გაღრმავებაზეა გაკეთებული. მთავარი ადგილი კი შემოქმედებით

	დავალებებს უჭირავს, რაც გაკვეთილებს უფრო საინტერესოს, მრავალფეროვანსა და შედეგიანს გახდის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	წარმოდგენილი კურიკულუმები და მასში მოცემული თემები საშუალებას აძლევს მიაღწიონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. მოცემული თემები, დავალებები, ქვეცნებები და საკითხები ისეა შერჩეული, რომ მოსწავლეს დაეხმაროს ფიზიკური თვისებების განვითარებაში, ორგანიზება და თვით კონტროლში, ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი II-VI კლასების კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმებიდან ნათლად ჩანს, რომ სასკოლო პროგრამა სრულად და თანმიმდევრულად მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით (ესგ) განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლეებში ტექნოლოგიური და ციფრული წიგნიერების განვითარებაზე. ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან თავსებადობა დასტურდება შემდეგი ფაქტორებით: ყველა კლასის სასწავლო თემა მკაფიოდ არის მიბმული კომპიუტერული ტექნოლოგიების სტანდარტით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებზე, როგორებიცაა: პირობითი ნიშნები, ალგორითმი (პროგრამული კოდი), ინტერნეტი, ციფრული მოქალაქეობა, კომპიუტერის აგებულება და ინფორმაცია. კურიკულუმში გამოყენებულია წინარე ცოდნაზე დაშენებით საკითხის შესწავლის პრინციპი. მაგალითად, პროგრამირების მიმართულებით (ალგორითმი) სწავლება იწყება მე-2 კლასში ციკლებისა და პირობითი ნიშნების გაცნობით, მე-3 და მე-4 კლასებში გადადის ანიმაციების შექმნაზე Code.org-სა და Scratch-ის პლატფორმებზე, ხოლო მე-5 და მე-6 კლასებში რთულდება სასრული/უსასრულო ციკლების, ლოგიკური ოპერატორების, ცვლადებისა და ჩადგმული ციკლების გამოყენებით. სწავლა-სწავლების პროცესი მიმდინარეობს კომპლექსური ტიპის

	დავალებების საშუალებით, რაც უზრუნველყოფს ცოდნის პრაქტიკულ რეალიზებას. მოსწავლეები ქმნიან ისეთ ფუნქციურ პროდუქტებს, როგორებიცაა: ელექტრონული წიგნი ("როგორ გავხდე კარგი ციფრული მოქალაქე"), MS Excel-ში აგებული დიაგრამები და დახარისხებული მონაცემები, Phet პლატფორმაზე აგებული მარტივი ელექტრონული წრედები და საკუთარი კომპიუტერული თამაშები. კურიკულუმი პირდაპირ ეხმიანება ესგ-ს ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს — უსაფრთხო და ეთიკური ციფრული ქცევის ჩამოყალიბებას. მე-2 კლასში მოსწავლეები ეცნობიან პაროლისა და ლოჯინის მნიშვნელობას, მე-5 კლასში სწავლობენ პირადი ინფორმაციის დაცვასა და ინტერნეტ უსაფრთხოების წესებს, ხოლო მე-6 კლასში განიხილავენ ინფორმაციული ეთიკის ნორმებს, სოციალურ პასუხისმგებლობასა და საკუთარი თუ სხვისი უფლებების დაცვას ციფრულ სამყაროში.მოსწავლეები ეუფლებიან სხვადასხვა ინსტრუმენტსა და პლატფორმას (ღრუბლოვანი სერვისები, Office 365, ტექსტური რედაქტორები, მულტიმედია ფაილების შესაქმნელი ონლაინ პლატფორმები). ამასთან, ხდება სხვადასხვა გრაფიკული ინტერფეისის (Android, IOS, Windows) შესწავლა და ანალიზი, რაც მათ უვითარებს ადაპტაციის უნარს ცვალებად ტექნოლოგიურ გარემოში. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნები დამაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასის კურიკულუმებში გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნები. ჩანს მოსწავლის ცოდნის, უნარების და ღირებულებების განვითარება. სწავლება ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს და უზრუნველყოფს მის პიროვნულ და სოციალურ ზრდას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** ***რჩევა:*** *სასურველია, თუ საგნობრივ კურიკულუმებში სამიზნე ცნებებთან ერთად გაწერილი იქნება ქვეცნებები და საკითხები. კარგი იქნება თუ, ოთხივე საგნის კურიკულუმში წარმოადგენენ აქტივობებს, რომელსაც იყენებენ შემოქმედებითი დავალების შესრულებამდე.*

1. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმით გათვალისწინებული და დაგეგმილი სასწავლო პროცესის განსახორციელებლად სკოლა ძირითადად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს და ელექტრონულ რესურსებს: www.ck12.edu.ge, ტელესკოლის, მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ მომზადებულ პრეზენტაციებს, მოძიებულ თემატურ მასალას. აქვთ ცხრილები, პლაკატები(რაც ჩანს გადაღებულ ფოტო- მასალაში) ლეპტოპებით და პროექტორით მასწავლებლები იყენებენ ელ. რესურსებს, რაც საგაკვეთილო პროცესს უფრო საინტერესოს ხდის. რაც ხელს უწყობს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. საინტერესო პროექტებზე მუშაობენ მოსწავლეები ინტეგრირებულ გაკვეთილებზე. დოკუმენტებში გადმოგზავნილია რამდენიმე ინტეგრირებული გაკვეთილი დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე. ასევე, სკოლას აქვს შედარებით პატარა ფართის ლაბორატორია, რესურსები, აქვს ოთახი გამოყოფილი მოსწავლეების მიერ შექმნილი რესურსებისთვის **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში რესურსების სვეტში ასახულია ძირითადი რესურსები სახელმძღვანელოს სახით და დამატებითი ელექტრონული სასწავლო რესურსები, რომელიც მეთოდურად მორგებულია კონკრეტულ საკითხებზე და ხელს უწყობს შემოქმედებითი ტიპის დავალებაზე მუშაობას, რაც მოახდენს საგნობრივი შედეგების მიღწევას. სკოლამ ასევე წარმოადგინა კათედრის ელექტრონული რესურსების ბანკი, სადაც ასახულია მრავალფეროვანი სხვადასხვა ტიპის ელექტრონული რესურსი, რომელიც მორგებულია კონკრეტულ საგნობრივ თემას/საკითხს. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნა არის**

	დაკმაყოფილებული. **რჩევა:** სასურველია დაწყებითი საფეხურის (მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველო) კურიკულუმებში ასახული იყოს დამატებითი ელექტრონული რესურსები.
უცხოური ენები	კურიკულუმების შესწავლის და უცხოური ენების პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დადგინდა რომ მოსწავლეთა სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებულია გრიფირებული და სამინისტროს მიერ ნებადართული სახელმძღვანელოები . პედაგოგებმა აღნიშნეს რომ იყენებენ აქტიურად ბეჭდურ რესურსებთან ერთად ციფრულ რესურსს, რაც კურიკულუმშიც ასახულია, ასევე იყენებენ ონლაინ პლატფორმებს. შესაბამისად კურიკულუმში მოცემული ყველა რესურსი ემსახურება მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას, სუსტი მხარეების დაძლევას, სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებას, მოსწავლეთა პროდუქტიულობის ზრდასა და მოტივაციის ამაღლებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** • მე - 5 და ე - 6 , მე - 9 კლასის გერმანული ენის კურიკულუმში სასურველია ჩანდეს რესურსების ჩამონათვალი კონკრეტულ თემებთან მიმართებაში.
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, სრულად უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან წარმართვას და სწავლის შედეგების მიღწევას. ისინი შერჩეულია ესგ-ის მიზნებისა და კურიკულუმში აღწერილი კომპეტენციების გათვალისწინებით. რესურსები მოიცავს როგორც საბაზისო მასალებს, ასევე დამხმარე რესურსებს, რაც უზრენველყოფს სწავლების მრავალფეროვნებასა და მოსწავლეთა ჩართულობას. მათი გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარებას, ინდივიდუალური საჭროებების გათვალისწინებასა და საგნობრივი შედეგების ეფექტურად მიღწევას. ამ რესურსების

	დახმარებით შესაძლებელია სწავლების პროცესის გამრავალფეროვნება და თითოეული მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი და ინლუზიური გარემოს შექმნა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის სამივე საფეხურის კურიკულუმებში პედაგოგების მიერ გაწერილი რესურსები მიზნობრივ შესაბამისობაშია სასწავლო პროცესთან, დოკუმენტებში ასახული ელექტრონული რესურსები (საგანმანათლებლო ლინკები, ანიმაციები, ფილმები); მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ I კლასში პოსტერის ნიმუშები,სასკოლო ნივთების ილუსტრაციები, მარცვლების ყუთი ,,რომელია ზედმეტი,"გასაფერადებელი სასწავლო ნივთები; ჩამოჭრილი მარცვლები , სიტყვების ბარათები....II კლასში სქემა – ,,სიტყვების გამომძიებელი",სიტყვის პირამიდა, პერსონაჟის რუკა, V კლასში ფილმის ,,იავნანამ რა ჰქმნა?!'' ჩვენება იაკობ გოგებაშვილის ამავე სახელწოდებით მოთხრობის სწავლებისას, ასევე სიმღერა ,,იავნანას" აუდიოჩანაწერები (მითითებულია ლინკების სახით), XI კლასში ვაჟა-ფშაველას შემოქმედების სწავლებისას მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს საინტერესო ვიდეო და აუდიორესურსებს, მაგალითად, რადიოთეატრის მიერ შექმნილ ლიტერატურულ თეატრს ,,სტუმარ- მასპინძელი" და ა.შ. ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ სკოლა მიზნობრივად იყენებს საგანამანათლებლო რესურსებს , რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა დაინტერესებას, მოტივაციის ამაღლებას და უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მოწოდებულ სასწავლო გეგმაში ძირითადად სახელმძღვანელოს ინტერნეტ მასალებია გამოყენებული. იმისათვის, რომ სწავლა უფრო ეფექტური იყოს, კარგი იქნება, თუ კურიკულუმში სხვადასხვა ტიპის მასალებსაც ჩავამატებთ. რესურსების გამრავალფეროვნება მასწავლებელს დაეხმარება, რომ გაკვეთილი ყველა ბავშვის შესაძლებლობებსა და

	ინტერესებს მოარგოს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** **რჩევა;** კურიკულუმის გადამუშავებისას, პირველ რიგში, რესურსების მრავალფეროვნებაზე გაკეთდეს უნდა აქცენტი. ასევე ლინკების სახით უნდა გამოიკვეთოს თუ რა სახის მასალას იყენებს მასწავლებელი, რაც უფრო მეტი სახის რესურსს გამოიყენებთ, სასწავლო პროცესი მით უფრო საინტერესო გახდება, რაშიდაც კათედრის ფუნქციური მუშაობა დაეხმარება მასწავლებლებს. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება არის გასამახვილებელი **დაწყებით და საბაზო საფეხურზე.**
სპორტი	სკოლას აქვს და იყენებს სპორტულ ინვენტარს და რესურსებს, რაც კურიკულუმებში მოცემული თემების განხორციელებისთვის აუცლებელია. კერძოდ სხვადასხვა სპორტის სახეობის ბურთები, ბადეები, ჩოგნები და სხვა სპორტული ინვენტარი გამოყენებულია კურიკულიმში გაწერილი თემების შესაბამისად. აითვისონ და გააღრმავონ სხვდადასხვა სპორტის სახეობები, ივარჯიშონ და განავითარონ ფიზიკური თვისებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი II-VI კლასების კურიკულუმების ანალიზით დასტურდება, რომ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსები მრავალფეროვანი, ასაკობრივად შესაბამისი და მიზნობრივია, რაც სრულად უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. კრიტერიუმის დაკმაყოფილება დასტურდება შემდეგი გარემოებებით: ალგორითმული აზროვნებისა და კომპიუტერის აგებულების პრაქტიკულად შესასწავლად ეფექტურადაა ინტეგრირებული ისეთი თანამედროვე რესურსები, როგორებიცაა **Code.org**, **Scratch** და **PhET** ინტერაქტიული სიმულაციები. პროგრამული უზრუნველყოფები (MS Excel, PowerPoint, Sway) გამოიყენება არა მშრალად, არამედ მონაცემთა დასამუშავებლად და მულტიმედიური პროდუქტების შესაქმნელად. ყველა მითითებული რესურსი (მათ შორის

	საგანმანათლებლო პორტალი school.emis.ge) ლოგიკურად უკავშირდება კომპლექსური ტიპის დავალების პროდუქტს. შესაბამისად სასწავლო პროცესში ინტეგრირებული რესურსები არის ვალიდური და ეფექტიანი. ისინი ქმნიან შესაბამის საგანმანათლებლო გარემოს საგნობრივი შედეგების მისაღწევად. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნები დამაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; პედაგოგები იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს და დამატებით რესურსებს, მათ შორის ონლაინ რესურსებს, ვიდეოებს და ა.შ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** ***რჩევა:*** *სასურველია, ყველა საგნობრივ კურიკულუმში საგნობრივმა კათედრებმა ერთნაირად უზრუნველყოს სასწავლო რესურსების მრავალფეროვნება და შეიმუშაოს მათი მითითების საერთო წესი .*

2. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე მასწავლებლებთან პირისპირ შეხვედრის დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმში ასახული რესურსი მოიცავს აქტივობებს, ინტეგრირებულ დავალებებს, რაც მაღალი აკადემიური მოსწრების, ასევე სსსმ ან, დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების მოსწავლეებთან ეფექტურად მუშაობის შესაძლებლობას იძლევა. სკოლას ამ ეტაპზე ყავს სამივე საფეხურზე სსსმ მოსწავლეები. გამოთხოვილი დოკუმენტაციის საფუძველზე სკოლამ გადმოაგზავნა მოსწავლეთა ნამუშევრები და ინდ. გეგმები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

	რჩევა: სასურველია სკოლამ წარმოადგინოს დოკუმენტალურად დიფერენცირებულად სწავლების ამსახველი დოკუმენტი. მასწავლებლებთან პირისპირ შეხვედრისას მოვისმინეთ ზეპირსიტყვიერად როგორ ხორციელდება დიფერენცირებული მიდგომები. *(საგაზო და საშუალო საფეხური)*
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობითა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე გამოვლინდა, რომ მასწავლებლები ახდენენ ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებს. კათედრა კურიკულუმის შექმნის პროცესში ითვალისწინებს მოსწავლის საჭიროებებს, ინტერესებს, მზაობასა და შესაძლებლობებს. კათედრამ წარმოადგინა ისგ- დოკუმენტები მე და საზოგადოებაში, ჩვენ საქართველოში, გეოგრაფიაში, მოქალაქეობაში, ისტორიასა და საქართველოს ისტორიაში, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის საჭიროებები და აქტივობები მასზე მორგებულია. შესაბამისად, კათედრა ახდენს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწიენებასა და სასწავლო პროცესის მასზე მორგებას სამივე საფეხურზე. ამრიგად, **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური სწავლების მიდგომები, პედაგოგებმა წარმოადგინეს ინდ.გეგმის ნიმუშები, კათედრა კარგად იცნობს და ითვალისწინებს სწავლების დიფერენცირების პრინციპებს,. პედაგოგებმა ისაუბრეს და წარმოადგინეს სსსმ მოსწავლეთა შეფასების ინდივიდუალური მიდგომასა და ადაპტირებული აქტივობების მაგალითები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** **ინგლისური ენა** • დაწყებითი და საშუალო საფეხურის წარმოდგენილ ინდ. გეგმებში სასურველია გაწერილი იყოს დროის რა მონაკვეთში ხდება მიზნის მიღწევა და მიზნის მისაღწევი აქტივობები, ასევე სასურველია გაწერილი იყოს აქტივობები კონკრეტულ თემებთან

	და საკითხებთან მიმართებაში. **რუსული ენა**; ● სასურველია რუსული ენის მე - 11 კლასის ინდ. გეგმაში ცნება ტექსტი შეცვლილი იყოს ცნება ჟანრით. ამავე ინდ. გეგმაში მოცემული იყოს დროის რა მონაკვეთში აღწევს მოსწავლე დასახულ მიზანს, აღწერილი იყოს მიზნის მისაღწევი აქტივობები. ● სასურველია რუსული ენის მე - 9 კლასის ინდ. გეგმაში ცნება ტექსტი შეცვლილი იყოს ცნება ჟანრით. ამავე ინდ. გეგმაში მოცემული იყოს დროის რა მონაკვეთში აღწევს მოსწავლე დასახულ მიზანს, აღწერილი იყოს მიზნის მისაღწევი აქტივობები, თავისი ცნებებით.
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სწავლება ეყრდნობა მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებას, რაც ხელს უწყობს თითოეულის მაქსიმალურ ჩართულობას და თვითგამოხატვას. სასწავლო პროცესი იგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის სურვილების და მზაობის გავალისწინებით. მოსწავლეთა ინტერესები და მათი ასაკობრივი თავისებურებები გათვალისწინებულია კონტექსტებსა და საკითხებში, მოსწავლეთა მიერ განხორციელებულ პროექტებსა თუ აქტივობებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების სამივე საფეხურზე სკოლა ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს და დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს. დოკუმანტაციის შესწავლისას და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა სასწავლო პროცესის კონკრეტულ მოსწავლეთა საჭიროებებზე , ინტერესებსა და შესაძლებლობებზე ორიენტირება. ცხადია, რომ ეს საკითხი პრიორიტეტულია და სკოლის მართვის პოლიტიკაა თვალყური ადევნოს სსსმ მოსწავლეთა ინდ გეგმების შემუშავებასაც. სახელმწიფო ენის

	კათედრის პირველი სემესტრის ანგარიშში აღნიშნულია, რომ სსსმ მოსწავლეებისთვის შედგენილი ჰქონდათ მათზე მორგებული გეგმები, რომლებიც ბავშვებმა წარმატებით დაძლიეს. მტკიცებულებად წარმოდგენილია VIII კლასის მოსწავლის ისგ. ამის გარდა, კურიკულემებში გაწერილი შემოქმედებითი დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლები ითვალისწინებენ სწავლების პროცესში დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს. მათ სამიზნეს წარმოადგენს მოსწავლეთა შედეგების ანალიზი და და მასზე დაფუძნებით შემდგომი პროცესების დაგეგმვას. ხოლო გაწერილი კომპლექსური/შემოქმედებითი ბუნების დავალებები იძლევა შესაძლებლობას უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	მასწავლებლებისათვის ცნობილია სწავლის დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. მასწავლებლებმა ისაუბრეს სსმ მოსწავლის ინდივიდუალური მიდგომების შესახებ. დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სწავლა მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე, რაც განაპირობებს ბავშვის მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში. მასწავლებლები ითვალისწინებენ ყველა ბავშვის ფიზიკურ თუ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, კერძოდ მოსწავლეები იღებენ ინდივიდუალურ დავალებებს, სადაც უნდა შეასრულონ სხვადასხვა მოძრაობა ან ვარჯიში, მოსწავლის შესაძლებლობიდან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები	სასკოლო კურიკულუმისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასებით (მონაცემები ინტერვიუდან) დგინდება, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლება ეფუძნება დიფერენცირებულ მიდგომებსა და ინკლუზიის პრინციპებს. კრიტერიუმის დაკმაყოფილება დასტურდება შემდეგი ფაქტორებით: სკოლას აქვს მკაფიოდ გაწერილი ინკლუზიური განათლების პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავებასა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირებას. კომპლექსური დავალებები და აქტივობები იძლევა დიფერენცირების საშუალებას. სკოლის სასწავლო გეგმა მასწავლებელს ავალდებულებს მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენებას მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებისა და სწავლის სტილის გასათვალისწინებლად. კომპიუტერულ ლაბორატორიაში არსებული 25 კომპიუტერი მოსწავლეებს აძლევს საშუალებას გაკვეთილზე ინდივიდუალურად გამოიყენონ ისინი ეს, კიპედაგოგს (რომელსაც ასევე აქვს პერსონალური კომპიუტერი და პროექტორი) აძლევს იდეალურ შესაძლებლობას, გაკვეთილზე ინდივიდუალურად დააკვირდეს თითოეულ მოსწავლეს და უზრუნველყოს მყისიერი განმავითარებელი უკუკავშირი. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნები დამაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, სწავლება გათვლილია ყველა მოსწავლეზე, მიუხედავად მათი შესაძლებლობებისა თუ საჭიროებებისა. ყველა ბავშვი თანაბრად მონაწილეობს საგაკვეთილო პროცესში. დიფერენცირება გათვალისწინებულია კურიკულუმებში, რადგან კურიკულუმები არის თემატური დაგეგმვის, თემად აღებულია მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი. დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ნაცნობ კონტექსტზე, რაც თავისთავად მოიაზრებს მოსწავლის ჩართულობას. სასწავლო პროცესში რეგულარულად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. წარმოადგინეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმებიც.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. ***რჩევა:*** *სასურველია, თუ საგნობრივი კათედრები ოთხივე საგნის კურიკულუმში შეიტანს დიფერენცირებული სწავლების პრინციპებით შემუშავებულ აქტივობებს.*

3. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლამ დოკუმენტაციის სახით წარადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, შემაჯამებელი შეფასების რუბრიკები: განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების როგორც ზოგადი სახის, ასევე, კონკრეტულ შემოქმედებით პროდუქტს მორგებული რუბრიკები დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურისთვის. პროექტის შეფასების რუბრიკები. სკოლა შეფასებას ახორციელებს საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებებით. მონაცემები მუშავდება კათედრაზე და გაეცნობა სასკოლო საზოგადოებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** მე-3, მე-4 კლასი შეფასებაში მუშავდება ერთი სამიზნე ცნება, მე- 5 კლასი კონკრეტული პროდუქტის განმსაზღვრელი შეფასება. სასურველია ასევე, კათედრამ შეიმუშავოს მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემები.(დაწყებითი საფეხური)
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლაში შეფასება შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. კათედრამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სამივე საფეხურზე (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, საქართველოს ისტორია, ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) რომელიც აგებულია გრძელვადიანი მიზნების პრინციპების მიხედვით.

	შეფასების რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები გამომდინარეობს საფეხურის შედეგების ინდიკატორების საფუძველზე, რომელიც კონკრეტული საგნობრივი შინაარსის მიხედვით არის შექმნილი, რაც დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლის კონკრეტული საგნობრივი ცოდნა განსაზღვროს. ამრიგად, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ეყრდნობა გრძელვადიან სასწავლო მიზანებსა და წარმოდგენილია ესგ- ის პრინიპებთან მიმართებით. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.** **რჩევა:** სამივე საფეხურის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები შინაარსობრივად მოარგეთ შესაბამის ქულას;
უცხოური ენები	მასწავლებლებთან გასაუბრება , კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების მასალები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი ადასტურებს რომ შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობის. კურიკულუმების ანალიზის შედეგად ვლინდება, რომ შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას შეფასების პროცესში, კერძოდ მოსწავლეების მიერ კრიტერიუმების განხილვა, საკუთარი თავის და თანატოლების შეფასება ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი. გარდა ამისა, შეფასება ატარებს ავთენტურ ხასიათს, შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეების საჭიროებებს, ეხმარება მათ განავითარონ ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, რომლებიც მათ ცხოვრების მანძილზე დასჭირდებათ. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ მოსწავლის შესაძლებლობები განსხვავებულია, შესაბამისად, მოსწავლის მრავალი კუთხით შეფასება საშუალებას იძლევა გამოვლინდეს მათი სხვადასხვა უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, პასუხისმგებლობა, არგუმენტირება, მსჯელობა, პრეზენტირება, სასწავლო სტრატეგიების სწორად გამოყენება.

	პედაგოგების მიერ მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების მიხედვით. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეფუძნება საგნობრივ სტანდარტს. ინტერვიუს დროს გაირკვვა, რომ მასწავლებლები სისტემატურად აკვირდებიან სასწავლო პროცესს და ურთიერთთანამშრომლობით ხვეწენ და ავითარებენ შეფასების რუბრიკებს. შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალგვარ კონტექსტს, როგორებიცაა: შესასწავლი თემა და საკითხი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, საფეხურის ფარგლებში ცნებების დაფარვის ხარისხი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ესგ-ით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შეფასება დაფუძნებულია კომპეტენციებზე ორიენტირებულ მიდგომას და ითვალისწინებს როგორც შემოქმედებითი პროცესის, ისე შედეგების შეფასებას. იგი მოიცავს ფორმატიულ და შემაჯამებელ შეფასებებს, რაც ეხმარება მოსწავლეს პროგრესის გაცნობიერებაში და შემოქმედებითი უნარების განვითარებაში. ამ მიმართულებით შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ მიღწევებზე, თვითგამოხატვის უნარზე, ესთეტიკურ აღქმაზე, პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრაზე და მოტივაციის გაზრდაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის სამივე საფეხურზე სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ შეფასებებს. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ზოგადი ხასიათის შეფასების რუბრიკები, როგორებიცაა : ესეს, პრეზენტაციის, თხზულების, ზეპირი და წერილობითი პრეზენტაციების , დისკუსიის, აგრეთვე, ჯგუფური მუშაობის. მათ , აგრეთვე შემუშავებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები კონკრეტულ თემებთან მიმართებაში. მაგალითად, მე-8 კლასში წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, განმავითარებელი კომენტარებით (დავალების თემა/საკითხი: ბიძინა ჩოლოყაშვილის სახე, აკაკი წერეთლის მოთხრობის,

	„ბაში-აჩუკის“, მიხედვით). კათედრის სხდომის ოქმებსა და ანგარიშებში, ასევე პედაგოგებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის სამივე საფეხურის მასწავლებლები ერთად ამუშავებენ შეფასების კრიტერიუმებს, რომლებსაც კონკრეტულ თემებთან მიმართებაში წერენ რუბრიკებში. მათ მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები მიემართება გრძელვადიან მიზნებს, ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს და ეყრდნობა თემატურ კონტექსტებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვს, რომ მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკის შეფასების რუბრიკები მიჰყვება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. გადმოგზავნილი შეფასების რუბრიკები მასწავლებლებს დაეხმარება, რომ ობიექტურად დაინახონ და ასახონ თითოეული მოსწავლის აკადემიური წინსვლა. ეს მიდგომა შეფასების პროცესს ბევრად უფრო ეფექტურს გახდის. ამასთან ყურადღება არის გასამახვილებელი გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე დაფუძნები იქნას და დაიხვეწოს შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** კარგი იქნება, თუ შეფასების რუბრიკები კიდევ უფრო კონკრეტული გახდება, ამასთან ყურადღება უნდა გამახვილდეს გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე, რაც ნაკლებად შეინიშნება ამჟამად მოწიოდებულ დოკუმენტაციაში.*(დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხური)*
სპორტი	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, როგორც სიტყვიერად ისე წერილობითი სახით, სადაც კარგად ჩანს ბავშვების განვითარება

	და პროგრესი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. შეფასება ორიენტირებულია არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის შემოწმებაზე, არამედ მოსწავლის უნარ-ჩვევების განვითარებასა და ცოდნის პრაქტიკულ ტრანსფერზე. კრიტერიუმის დაკმაყოფილება დასტურდება შემდეგი ფაქტორებით: დაწყებითი საფეხურის ქვედა კლასებში სკოლა იყენებს განმავითარებელი შეფასების აღწერილობით ფორმებს, რომლებიც აფასებს მოსწავლის პროგრესს სამი დონის მიხედვით: მასწავლებლის დახმარებით შესრულება, დამოუკიდებლად მცდელობა და დამოუკიდებელი, სიღრმისეული შესრულება. V და VI კლასებისთვის შემუშავებულია შეფასების დეტალური რუბრიკები 10-ქულიანი სისტემის განაწილებით. რუბრიკებში გამოყოფილია მიღწევის დონეები (მაღალი, საშუალოზე მაღალი, საშუალო, დაბალი) მკაფიო საგნობრივი ინდიკატორებით, რაც უზრუნველყოფს შეფასების გამჭვირვალობასა და ობიექტურობას. შეფასების კრიტერიუმები პირდაპირ მიემართება კომპიუტერული ტექნოლოგიების ძირითად სამიზნე ცნებებს. ფასდება ისეთი კომპლექსური უნარები, როგორებიცაა: ციფრულ სამყაროში უსაფრთხოების ნორმების დაცვა, პლაგიატის არსის გააზრება, ფაილების ლოგიკური ორგანიზება და ინფორმაციის მოძიება-დახარისხება. შეფასების სისტემა აკვირდება, თუ რამდენად შეუძლია მოსწავლეს საკითხის არსის გააზრება, მსგავს მაგალითებთან შედარება და მიღებული ცოდნის პირად გამოცდილებასთან დაკავშირება. ასევე, მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება სოციალურ უნარებზე, როგორიცაა თანაკლასელებთან თანამშრომლობა ჯგუფური სამუშაოების დროს. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნები დამაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ოთხივე საგანში წარმოდგენილი აქვთ

	განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიზნად ისახავს მოსწავლის პროგრესის დანახვას, სწავლების გაუმჯობესებას და თითოეული ბავშვის ინდივიდუალური განვითარების მხარდაჭერას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** ***რჩევა:****სასურველია საგნობრივმა კათედრებმა შეიმუშაონ მოსწავლეთა თვითშეფასების, ურთიერთშეფასებისა და დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტები.*

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- *„ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“, სკოლა-გიმნაზიის რექტორის 2024 წლის 15 აგვისტოს N 03/23 ბრძანება;*
- *„ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიაში 2025-2026 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ორგანიზების შესახებ" , სკოლა-გიმნაზიის რექტორის 2025 წლის 10 სექტემბრის N 03/29 ბრძანება;*
- *სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ;*
- *განხორციელებული შემოქმედებითი დავალებების ამსახველი დოკუმენტაცია და რეფლექსიები;*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;*
- *კათედრის სხდომის ოქმები;*
- *მშობელთა საბჭოს სხდომების ოქმები;*
- *კათედრის ანგარიშები;*
- *გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა;*
- *არაფორმალური განათლების ამსახველი ფოტო-მასალა;*
- *პროექტები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მასწავლებლები კათედრებზე აქტიურად თანამშრომლობენ სასკოლო კურიკულუმის განვითარების მიმართულებაზე და დახვეწაზე. სისტემატურად ხდება პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება და ურთიერთდახმარება, ურთიერთდასწრება. ერთობლივი თანამშრომლობა სასკოლო ინტელექტუალურ პროექტებზე. ასევე, აქცენტი კეთდება მეტად აქტუალურ თემებზე: ძირითადად, სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. კათედრა აძლიერებს არაფორმალურ განათლებას, აკავშირებს ფორმალურ განათლებასთან მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებით. კათედრამ წამოადგინა საუკეთესო სასკოლო პროექტები, ინტეგრურებული გაკვეთილები. რაც ყველაზე მთავარია საბუნებისმეტყველო კათედრის ყველა წევრმა წარმოადგინა დოკუმენტალურად კურიკულუმის რევიზია, რაც სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული. სკოლაში დანერგილია პრაქტიკა, საჭიროებებიდან გამომდინარე გადაიხედოს უკვე არსებული კურიკულუმი და მოხდეს მისი ცვლილება, მოსწავლეთა ინტერესებიდან და ზოგადი საჭიროებებიდან გამომდინარე. სასწავლო პროცესი ეფუძნება სკოლაში თანამშრომლობით კულტურასა და ეფექტიან კომუნიკაციას. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კარგად ჩანს (ესგ, კათედრის ოქმი,შეფასების რეუბრიკები), რომ კათედრებზე ხდება გამოცდილების გაზიარება, რაც მნიშვნელოვანია სკოლის წარმატებისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე დადასტურდა, რომ სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. მასწავლებლები ურთიერთშეფასებისა და მოსწავლეთა მიღწევების ანალიზის საფუძველზე ახდენენ კურიკულუმების მოდიფიცირებას, რაც საშუალებას იძლევა გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა მზაობა, საჭიროებები და ინტერესები. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა სამივე საფეხურზე აქტიურად ანხორციელებს შემოქმედებითი დავალებებით სწავლებას, რომელიც ასახულია საგნობრივ კურიკულუმებში. ხოლო საშუალო საფეხურზე საგან მოქალაქეობის მიხედვით

	აქტიურად ახორციელებს სასწავლო პროექტებს, რომლის მტკიცებულებებიც კათედრამ წარმოადგინა. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
უცხოური ენები	ინტერვიუს შედეგად და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი სამივე საფეხურზე უცხოური ენების (ინგლისური,,რუსული, გერმანული ენა) სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით, მკვიდრი წარმოდგეების რეალიზების გზით. პედაგოგებმა აღნიშნეს რომ ცოდნის კონსტრუირებაზე მიმართული შეკითხვები ემსახურება სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების დამუშავებას. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. კურიკულუმი და კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების განვითარებას. როგორც პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დადგინდა კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები ემსახურება სასწავლო პროცესის სწორ დაგეგმვას. და აქ განსაზღვრული სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს ესგ- შესაბამისად. გარდა ამისა მასწავლებლების მიერ გამოყენებული რესურსები,დავალების ფორმატები და შეფასების სისტემა უკავშირდება კურიკულუმში განსაზღვრულ მიზნებს რაც ადასტურებს პროცესის შინაარსობრივ შესაბამისაობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სწავლება ემყარება ესგ-ს მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც მოიცავს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების, ესთეტიკური აღქმის, თვითგამოხატვისა და კულტურული ცნობიერების განვითარებას. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურებები, თემატური თანმიმდევრობა, მიზნობრივი აქტივობები და სხვადასხვა ტიპის ამოცანები, რომლებიც ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. გაკვეთილები მიზანმიმართულად არის დაგეგმილი ისე, რომ მოხდეს როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული უნარების განვითარება. მაგალითად, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში განიხილავენ მხატვრულ

	სტილებს, სახვით და გამოყენებითი ხელოვნების გამომსახველობით ხერხებსა და საშუალებებს, ტაქნიკებს და ქმნიან ინდივიდუალურ ნამუშევრებს. მუსიკაში მოსწავლეები ეცნობიან მუსიკის გამომსახველობით ხერხებსა და საშუალებებს და მუზიცირებენ მღერითა და მათ მიერ შექმნილი მუსიკალური საკრავებით, მსჯელობენ მახასიათებლების როლზე ნაწარმოების მხატვრული სახის შექმნაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმს. ეს კარგად ჩანს სკოლის მტკიცებულებებში. აღსანიშნავია, რომ კლასებს ჰქვიათ ქართველ წმინდანთა და ეროვნულ გმირთა სახელები,რაც, თავისთავად, ხელს უწყობს მოსწავლეთა ცნოებიერების ამაღლებას როგორც ეროვნული, ისე სარწმუნოებრივი თვალსაზრისით. სახელმწიფო ენის კათედრის ანგარიშში აღწერილია დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები, აქვე მითითებულია კლასების სახელწოდებებიც მაგალითად, მე-2 კლასი მეფე აშოტ დიდი კურაპალატის სახელობისაა, რომლის მიერ გამხორციელებულია სპექტაკლი სახელწოდებით „საშობაო ზღაპარი," დოკუმენტში აღწერილია წმ.დიდმოწამე ქეთევან დედოფლის სახელობის კლასის ვიზიტი აზროვნების აკადემიაში, სადაც ბავშვებმა იმოგზაურეს ლიტერატურული ნაწარმოებების სამყაროში, შეხვდნენ შთამაგონებელ პერსონაჟებს, შეთხზეს საკუთარი ჯადოსნური ამბები, დაამზადეს მადლიერებისა და სამომავლო სურვილების ბარათები; ვახტანგ გორგასლის სახელობის მე-5 კლასმა ნაწარმოებთა უკეთ შესწავლა-გააზრების მიზნით მოაწყო ნახატების გამოფენა იაკობ გოგებაშვილის მოთხრობის - „იავნანამ რა ჰქმნა?" - მიხედვით, ხოლო რევაზ ინანიშვილის „მირანდუხტის" შესწავლის შემდეგ დაამზადეს დიორამები. სკოლა აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა ღონისძიებაში, ქვეყნის მასშტაბითაც, ამის ნათელი მაგალითია ქალაქ ოზურგეთში გაბრიელ ეპისკოპოსის დაბადებიდან 200 წლისთავისადმი ჩატარებულ კონფერენციაზე სკოლა-გიმნაზიის მეათე კლასის მოსწავლის მონაწილეობა თემით „სულიერ ფასეულობათა მნიშვნელობა პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში". სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი

	შეესაბამება სასწავლო კურიკულუმს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მოწოდებული მასალებიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმს. კათედრაზე შემუშავებული მხარდამჭერი ღონისძიებები მასწავლებლებს ხელს უწყობს, შეძლებისამებრ ყველა მოსწავლე აქტიურად ჩართონ შემოქმედებით და საგანმანათლებლო საქმიანობაში. შედეგად, მოსწავლეები უკეთ ახერხებენ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, უვითარდებათ კრიტიკული აზროვნება და თანამშრომლობის უნარები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კურიკულუმის მიხედვით, ინტერვიუს დროს სამივე საფეხურის მასწავლებლებმა ისაუბრეს სპორტის გაკვეთილის შესახებ, ისაუბრეს გაკვეთილის სტურქტურაზე და სასწავლო პროცესზე. მოიყვანეს მაგალითებად როგორც შიდა სასკოლო ჩემპიონატების ისე სასკოლო ოლიმპიადებზე მონაწილეობის მაგალითები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ კომპიუტერულ ტექნოლოგიებში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს წინასწარ შემუშავებული კურიკულუმის სრული დაცვით. კრიტერიუმის შესრულება დასტურდება შემდეგი ფაქტორებით: კათედრის ოქმები ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება თანმიმდევრულად — წინასწარ განიხილება საგნობრივი კურიკულუმები, ნაწილდება საათები და განისაზღვრება კომპლექსური თუ შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა. შემაჯამებელი დავალებების ანალიზი აჩვენებს პრაქტიკულ კავშირს კურიკულუმთან. მაგალითად, მე-6 კლასის პრაქტიკული დავალებები (PowerPoint და Excel) პირდაპირ ემსახურება კურიკულუმით განსაზღვრულ სამიზნე ცნებას

	(„ინფორმაცია“) და მიზნად ისახავს ესგ-ის შედეგების მიღწევას. სასწავლო პროცესი ცოცხალი და დინამიკურია. პედაგოგები აანალიზებენ შემაჯამებელი დავალებების შედეგებს, გამოკვეთენ მოსწავლეთა საჭიროებებს (მაგ., უჭირთ ფორმულების გამოყენება) და სახავენ პრობლემის მოგვარების გზებს (დროის მენეჯმენტის შეცვლა, დამატებითი აქტივობები). კათედრის დონეზე ხდება სემესტრული მიღწევების შეჯამება და შემდგომი ეტაპების დაგეგმვა. კურიკულუმის წარმატებით განსახორციელებლად სკოლაში დანერგილია მასწავლებელთა ურთიერთდასწრების, ღია გაკვეთილებისა და გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა. შესაბამისად სასწავლო პროცესი — დაგეგმვის, განხორციელებისა და შედეგების რეფლექსიის ეტაპების ჩათვლით — სრულ თანხვედრაშია სასკოლო კურიკულუმთან. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნები დამაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. მოსწავლე ჩართულია შემოქმედებით დავალებაზე მუშაობის პროცესში, სასწავლო პროექტებში. საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ ცვლილებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** ***რჩევა:*** *სასურველია მოეწყოს I-IV კლასის მასწავლებლების მეტი შეხვედრა და კურიკულუმების საერთო განხილვა. ეს ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის მეტ თანმიმდევრულობასა და მოსწავლეებზე ორიენტირებულობას.*

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიში დანერგილია პრაქტიკა, საჭიროებებიდან გამომდინარე გადაიხედოს უკვე არსებული კურიკულუმი და მოხდეს მისი ცვლილება, მოსწავლეთა ინტერესებიდან და ზოგადი საჭიროებებიდან გამომდინარე. სასწავლო პროცესი ეფუძნება სკოლაში თანამშრომლობით კულტურასა და ეფექტიან კომუნიკაციას. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კარგად ჩანს, რომ კათედრებზე ხდება გამოცდილების გაზიარება, რაც მნიშვნელოვანია სკოლის წარმატებისათვის. ასევე, სკოლა-გიმნაზიაში რეგულირებულია

პედაგოგთა ჩანაცვლების მექანიზმები, აღნიშნული მიდგომით, მასწავლებლის მიერ გაკვეთილის გაცდენის შემთხვევაშიც კი, მინიმუმამდეა დაყვანილი სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული თემატიკის დაუმუშავებლობის ან შეფერხების რისკი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ შემუშავებულია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. შემაჯამებელი დავალების ვერიფიკაცია, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე. კათედრის მიერ, შემუშავებული შეფასების რუბრიკები ცნობილია სკოლის საზოგადოებისთვის. შეფასებას სამი კომპონენტით ახორციელებენ, საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი დავალებები. კათედრის ხელმძღვანელთან და კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კათედრას აქვს მომავლის ხედვა, თუ როგორ უნდა მოახდინოს დაგეგმილი აქტივობების/მიღწევების შედეგის ანალიზი. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კათედრას აქვს მომავლის ხედვა, თუ როგორ უნდა მოახდინოს დაგეგმილი აქტივობების/მიღწევების შედეგის ანალიზი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სასურველია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებული იყოს შედეგების მიღწევის ინდიკატორები და მოხდეს საკითხთან მიმართებით დაკონკრეტება. შეიმუშაოს შეფასების ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება სწავლების მიზნებსა და თემატურ შინაარსს. სასურველია პერიოდულად მოხდეს შეფასების რუბრიკების რეაქტუალიზაცია სწავლების პრაქტიკიდან გამომდინარე და კათედრის წევრებთან ერთად განხილვა, რათა შეფასება კიდევ უფრო ინფორმატიული და ეფექტური გახდეს მოსწავლეთა პროგრესის შესაფასებლად. (*საბაზო და საშუალო საფეხური)*

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების, შეფასების რუბრიკების გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრა ახდენს ვალიდური, სანდო და გამჭირვალე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნას, რომელიც ეფუძნება ესგ-ს პრინციპებს და საშუალებას იძლევა ობიექტური შეფასება განხორციელდეს სამივე საფეხურზე. კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების კრიტერიუმები გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტების შედეგებიდან, რომელიც შექმნილია კონკრეტული თემის/საკითხის ფარგლებში რაც ახდენს მოსწავლის კონკრეტული საგნობრივი ცოდნის შეფასებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სასურველია სამივე საფეხურის განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმების შინაარსი ქულების გრადაციასთან იყოს მეტად შესაბამისობაში.
უცხოური ენები	შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, ობიექტური, სამართლიანი და გამჭვირვალე. პედაგოგებთან ინტერვიუმ და შეფასების რუბრიკების გაცნობამ გამოკვეთა ის ფაქტი რომ მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა, რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა, რა მოდიფიცირებას ახდენენ მასწვალებლები შეფასების პროცესში , რას ემსახურება თითოეული შეფასების რუბრიკის კრიტერიუმი. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ ხდება მოსწავლეებზე დაკვირვება და ანალიზი, აღსანიშნავია ასევე პედაგოგების ურთიერთდასწრების პრაქტიკა,რასაც ადასტურებს წარმოდგენილი მასალებიც, რომლის საშუალებთაც ხდება პედაგოგთა სამუშაოს/პრაქტიკის გაზიარება. ურთიერთშეფასება. პედაგოგებმა ასევე ისაუბრეს მოსწავლეთა ვერიფიკაციის პროცესზე, წარმოადგინეს მასალები ინგლისურსა და რუსულ ენებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამარლიანი. შეფასება ემყერება მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რომლებიც ასახულია სასკოლო

	კურიკულუმში და ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეთათვის, ისე მშობლებისა და მასწავლებლებისვის, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და წინასწარ ინფორმირებულობას. ვალიდურობა გარანტირებულია იმით, რომ შეფასება ეფუძნება იმ კომპონენტაბსა და უნარებს, რომელიც ესგ-თ არის განსაზღვრული. სანდოობა და ობიექტურობა მიიღწევა სტანდარტიზებული კრიტერიუმებისა და მრავალმხრივი შეფასების ფორმებს გამოყენებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრამ სამივე საფეხურზე წარმოადგინა განამვითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები, რომლებიც უზრუნველყოფს სამართლიან, ობიექტურ, ვალიდურ და გამჭირვალე შეფასებას. ცალ- ცალკე და დეტალურადაა გაწერილი სხვადასხვა ტიპის წერილობითი ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები ქულებთან ერთად. ზოგად რუბრიკებთან ერთად წარმოდგენილია კონკრეტულ თემებთან მიმართებაში გაწერილი შეფასებები, სამიზნე ცნებების შესაბამისად. შუალედურ სასწავლო მიზანს ახლავს შეფასების რუბრიკები, რომლებიც ნათლად გვიჩვენებს, რომ შეფასების სისტემა უზრუნველყოფს გამჭვირვალეობას, სანდოობას, სამართლიანობასა და , ვალიდურობას) პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ ყოველთვის ცდილობენ ობიექტურ უკუკავშირს და ეფექტიანად იყენებენ შეფასების ინსტრუმენტებს სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლაში დანერგილი შეფასების სისტემა სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპს ეფუძნება. გადმოგზავნილი რუბრიკები შეესაბამება სასწავლო მიზნებს, ხოლო შეფასების კრიტერიუმები მკაფიო კავშირშია განვლილ მასალასა და მოსწავლეების მიერ შესასრულებელ აქტივობებთან. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ობიექტურ და

	თანმიმდევრულ შეფასებას, ასევე ზრდის მათ მოტივაციასა და პასუხისმგებლობის განცდას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** **რჩევა**: სასურველია, შეფასების რუბრიკები წინასწარ შემუშავდეს და თემის დაწყებისთანავე გაეცნოთ მოსწავლეებს. ასევე, მნიშვნელოვანია, კრიტერიუმები იყოს მარტივი, გასაგები და მოსწავლეებისთვის ადვილად აღსაქმელი. განსაკუთრებული ყურადღება არის მისაქცევი გრძელვადიან სამიზნე ცნებების გააქტიურებას.*(დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური)*
სპორტი	შეფასების სისტემა ძალიან მნიშვნელოვანია იყოს ობიექტური და სამართლიანი. მასწავლებელები წინასწარ აცნობენ შემაჯამებელი დავალების შეფასების სისტემას, რაც ყველასთვის წინასწარ ცნობილია და ხელმისაწვდომი. მასწავლებლები ახორციელებენ გამჭირვალედ და სამართლიანად მოსწავლეების შეფასებას, რათა მივიღოთ ის რეალური სურათი და მდგომარეობა, გამოვიყენოთ სამომავლოდ როგორც წინარე ცოდნა. მსგავსი ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური დასამართლიანი შეფასება არის მნიშვნელოვანი ფაქტორი, ეს ყველაფერი ინტერვიუში აღნიშნა მასწავლებელმა და ხაზი გაუსვა მის მნიშვნელობას ბავშვის განვითარებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სასკოლო დოკუმენტაციის ანალიზით დგინდება, რომ კომპიუტერულ ტექნოლოგიებში მოქმედებს ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) მოთხოვნებთან სრულად შესაბამისი, გამართული შეფასების სისტემა. კრიტერიუმის დაკმაყოფილება დასტურდება შემდეგი ფაქტორებით: ფასდება უშუალოდ ის კონკრეტული უნარები და ცოდნა, რასაც საგნობრივი სტანდარტი მოითხოვს. V-VI კლასების რუბრიკები და შემაჯამებელი დავალებები პირდაპირ მიემართება ესგ-ს შედეგებსა და სამიზნე ცნებებს. შეფასება ეფუძნება 10-ქულიანი სისტემის 5-დონიან აღწერილობას. რუბრიკებში წინასწარ გაწერილი მკაფიო საგნობრივი ინდიკატორები გამორიცხავს სუბიექტურობას და უზრუნველყოფს სანდოობას. შეფასების

	კრიტერიუმები წინასწარ არის ცნობილი. შემაჯამებელი დავალების თარიღი 2 კვირით ადრე ინიშნება, ხოლო მიღებული ქულა 2 კვირის ვადაში აისახება ელექტრონულ ჟურნალში („ედუფეიჯი“), რაც მოსწავლისა და მშობლის ინფორმირებულობას უზრუნველყოფს. გაცდენის შემთხვევაში მოსწავლეს უფლება აქვს აღადგინოს დავალება. სსსმ მოსწავლეების შეფასება ხდება მათი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) მიხედვით. გარდა ამისა, მოსწავლეებს აქვთ ნიშნის გაუმჯობესების შესაძლებლობა სემესტრული ან საშემოდგომო გამოცდების გზით. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნები დამაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	გადმოგზავნილი აქვთ შეფასების რუბრიკები. მათი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. მოსწავლეებმა წინასწარ იციან შეფასების რუბრიკები, იციან რა კრიტერიუმების მიხედვით ფასდებიან. ყველა მოსწავლეს ეძლევა თანაბარი შესაძლებლობა წარმატებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიას 2024 წლის 5 დეკემბრის N 03/42 ბრძანებით დამტკიცებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

ვერიფიკაციის მექანიზმის მიხედვით სკოლა-გიმნაზია არანაკლებ 3 წლის ვადით, პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპით ინახავს მოსწავლის შეფასებასთან დაკავშირებულ მასალებს. ინფორმაცია ინახება არა მხოლოდ ადმინისტრაციული მიზნებისთვის, არამედ სკოლის ხარისხის მართვის სისტემის გაუმჯობესებისა და პროფესიული ანალიზისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *„ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“, სკოლა-გიმნაზიის რექტორის 2024 წლის 15 აგვისტოს N03/23 ბრძანება;*
- *„ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიაში 2025-2026 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ორგანიზების შესახებ" , სკოლა-გიმნაზიის რექტორის 2025 წლის 10 სექტემბრის N03/29 ბრძანება;*
- *„ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების შესახებ“, სკოლა-გიმნაზიის რექტორის 2024 წლის 5 დეკემბრის N 03/42 ბრძანება;*
- *სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ;*
- *განხორციელებული პროექტები სამივე საფეხურზე;*
- *შემოქმედებითი დავალებები და მათი ამსახველი ფოტო-მასალა;*
- *გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა სსგ-ში;*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;*
- *შეფასების რუბრიკები;*
- *კათედრის სხდომის ოქმები;*
- *მშობელთა კრების ოქმები;*
- *სადამრიგებლო პროგრამები.*

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა კურიკულუმით განსაზღვრული რესურსების სახით ძირითადად იყენებს სახელმძღვანელოს, ელ. რესურსებს, ასევე, საბუნებისმეტყველო საგნებში არის პლაკატები, ლაბორატორია რესურსებით. სკოლას აქვს რესურსი, რომ მოსწავლემ შეძლოს კურიკულუმით გაწერილ შემოქმედებით პროდუქტზე იმუშაოს **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული და დამატებითი დამხმარე რესურსების გამოყენებას სამივე საფეხურზე. კურიკულუმში წარმოდგენილია სხვადასხვა ციფრული სახის დამატებითი რესურსები რომლებიც აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში კონკრეტული საკითხის შესწავლისას. კათედრამ ასევე წარმოადგინა რესურსების ბანკი, სადაც ასახულია მრავალფეროვანი სხვადასხვა ელექტრონული რესურსი, რომელიც შექმნილია კონკრეტული საგნობრივი თემის/საკითხის მიხედვით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების სწავლება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმისა და სკოლაში შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმების შესაბამისად. ენების სწავლებისას გამოყენებულია თანამედროვე, ასაკსა და ენის დონეზე მორგებული რესურსი ,რომელიც

	უზრუნველყოფს თემატურად თანმიმდევრულ, ინტეგრირებულ ენის განვითარების კომპონენტებს. სწავლებისას აქტიურად გამოიყენება პლატფორმები და ონლაინ რესურსებიც, რაც საგაკვეთილო პროცესს მრავალფეროვანს ხდის. რესურსად ასევე გამოყენებულია ბარათები, პოსტერები, აუდიომასალა და თემატურად შერჩეული YouTube-ს ვიდეოები, რომლებიც კურიკულუმში მითითებულია თითოეული თემატური ბლოკის ფარგლებში. საგაკვეთილო პროცესში ინტეგრირებულია როლური თამაშები, პრეზენტაციები, პროექტული სწავლება და დიალოგები, რაც ხელს უწყობს ენის გამოყენების პრაქტიკულ განვითარებას. შესაბამისად, კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები ეფექტიანად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსი. ძირითადი რესურსები მოიცავს ესგ-თან შეთანხმებულ სახელმძღვანელოებსა და პროგრამულ მასალებს, რომლებიც ემსახურება საგნობრივი მიზნების მიღწევას და მოსწავლეთა საფუძვლიანი ცოდნის ფორმირებას. დამხმარე რესურსის ფარგლებში ფართოდ გამოიყენება აუდიო და ვიდეო მასალები, მხავრული ნამუშევრები, ვიზუალური რესურსები და საგანმანათლებლო აპლიკაციები. ასევე ჩართულია ხელოვნების ნიმუშების ანალიზი, მოსწავლეთა ნამუშევრების განხილვა და ხელნაკეთ მუსიკალურ ინსრუმენტებზე პრაქტიკული მუშაობა, რაც ხელს უწყობს უნარების განვითარებას და შემოქმედებითი პროცესის გააზრებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე სკოლა ძირითად სახელმძღვანელოსთან ერთად იყენებს დამხმარე სასწავლო რესურსებს, რომლებიც გაწერილია კურიკულუმებში. ესაა როგორც დამატებითი ტექსტები, ისე სასწავლო თემებთან შესაბამისი ვიდეო და აუდიო მასალა, როგორებიცაა ანიმაციური, დოკუმენტური თუ

	მხატვრული ფილმები. გადმოგზავნილი დოკუმენტაციიდან, რომლებშიც სხვადასხვა აქტივობაა აღწერილი, კარგად ჩანს მათი მრავალფეროვნება და მიზნობრივი გამოყენება.. პედაგოგებმა ინტერვიუს დროსაც ისაუბრეს იმაზე, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეებთან ერთად არჩევენ რესურსებს, რომლებსაც უთითებენ კურიკულუმებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლა იყენებს სამინისტროსთან შეთანხმებულ ძირითად რესურსს max მათემატიკას, რომელიც კარგად ადაპტირდა საწავლო პროცესი და კათედრასთან შეთანხმებით, სასწავლო პროცესის წარმართვისათვის ძირითად რესურსად გამოიყენება, ასევე აქტიურად იყენებენ იგივე სახელმძღვანელოს ინტერნეტ რესურსებსაც. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სასურველია მოხდეს ისეთი დამხმარე სახელმძრვანელოს არჩევა რომელიც ძირითად რესურსთან ერთად მოსწავლეებში უფრო მეტ ჩართულობას უზრუნველყოფს, ამასთან სხვა სასწავლო რესურსიც იქნას შერჩეული და ასახული კურიკულუმებში, რათა მრავალფეროვან ვიზუალური თუ სხვა სახის მასალით მოხდეს პროცესების დიფერენცირება. (დაწყებითი და საბაზო საფეხური)
სპორტი	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში,სამივე საფეხურზე მასწავლებლები აქტიურად იყენებენ სხვადასხვა სპორტულ ინვენტარს და დამხმარე რესურს კურიკულუმში გაწერილი თემების და დავალებების შესასრულებლად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები	დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმით გათვალისწინებული ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები აქტიურად და მიზნობრივად გამოიყენება პრაქტიკულ საგაკვეთილო პროცესში. კრიტერიუმის დაკმაყოფილება დასტურდება შემდეგი ფაქტორებით: სკოლა-გიმნაზია რეალურად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების (კომპიუტერები, პროექტორები, ინტერნეტით აღჭურვილი კომპიუტერული ლაბორატორია) ხელმისაწვდომობას როგორც მასწავლებლებისთვის, ისე მოსწავლეებისთვის. კურიკულუმებში გაწერილი დამხმარე ციფრული რესურსები, როგორებიცაა Code.org, Scratch, MS Office (Word, PowerPoint, Excel) და PhET სიმულაციები, უშუალოდ გამოიყენება სასწავლო პროცესში. ამის ნათელი მტკიცებულებაა მე-6 კლასის შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, სადაც მოსწავლეებმა პრაქტიკულად გამოიყენეს PowerPoint და Excel დავალებების შესასრულებლად. საგნობრივი კათედრის ოქმით (ოქმი № 1) დასტურდება, რომ სასწავლო წლის დაწყებისას ხდება რესურსების მიზნობრივი შერჩევა. ვინაიდან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში სახელმძღვანელოები ყველა კლასისთვის არ არის, საგნის პედაგოგები საგაკვეთილო პროცესში აქტიურად იყენებენ მათ მიერვე შექმნილ დამხმარე რესურსებს. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნები დამაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლების დროს მასწავლებლები, იყენებენ იმ რესურსებს, რომლებიც კურიკულუმშია წარმოდგენილი, როგორც ძირითადს (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ისე დამხმარეს (მაგ. სახელმძღვანელოები, სამუშაო ფურცლები, ვიდეოები, ციფრული პლატფორმები). ეს რესურსები ეხმარება მოსწავლეებს უკეთ გაიგონ და მიაღწიონ სასწავლო მიზნებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** *სასურველია, კურიკულუმებს დაამატონ რესურსები.*

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოცემულ ეტაპზე სკოლას აქვს დამხმარე ელექტრონული რესურსების ვალიდაციის მექანიზმი.დამხმარე რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე შეთანხმებულად, მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე ორიენტირებით, გათვალისწინებულია რესურსების სანდოობა და მიზნობრიობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სასურველია რესურსების შერჩევის პროცესში პერიოდულად გამოიყენონ მოსწავლეთა უკუკავშირი, რათა უფრო ზუსტად განისაზღვროს მათ საჭიროებებზე ორიენტირებული მასალა და დაინერგოს მრავალფეროვანი, აქტუალური რესურსების გამოყენება. *(საგაზო და საშუალო საფეხური)*
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს დამხმარე რესურსების შექმნა. კათედრამ წარმოადგინა სამივე საფეხურის ციფრული რესურსები, რომელიც კონკრეტული საკითხის/თემის შესასწავლად გამოიყენება. მასწავლებლების განმარტებით რესურსების დახვეწა/მოდიფიცირება მუდმივად ხორციელდება და სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება, რაც უზრუნველყოფილია სკოლის შესაბამისი ტექნიკურ- მატერიალური საშუალებებით. ამრიგად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს რომ ისინი ახდენენ დამხამრე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაზეც ჩანაწერი ოქმშიც იკითხებოდა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა	სკოლა უზრუნველყოფს მუსიკისა და სახვითი და გამოყენებით ხელოვნების მიმართულებით გამოყენებული დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. რესურსების შერჩევა და გამოყენება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო კურიკულუმის მიზნებთან შესაბამისობის პრინციპით. სკოლა მიმართავს რესურსების შინაარსობრივ შეფასებას, რაც ითვალისწინებს მათი საგნობრივ მიზნებთან, ასაკობრივ თავისებურებებსა და კომპეტენციებზე ორიენტირებულ მოთხოვნებთან თანხვედრას. მასწავლებლები, ადმინისტრაცია და საჭიროების შემთხვევაში საგნობრივი ჯგუფები ერთობლივად უზრუნველყოფენ იმ მასალების არჩევას, რომლებიც ასახავს თანამედროვე საგანმანათლებლო მოთხოვნებს, ხელს უწყობს შემოქმედებითი უნარების განვითარებას და მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო მპროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის უზრუნველყოფას სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. სახელმწიფო ენის კურიკულუმებში ასეთ რესურსებად მითითებულია როგორც დამატებითი ლიტერატურა, ისე საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები; სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, სურათები, პლაკატები, მოდელები და სხვ. მაგალითად, მე-2 კლასის კურიკულუმიდან შეგვიძლია დავასახელოთ სქემა – ,,სიტყვების გამომძიებელი“, სიტყვის პირამიდა“, თხრობის რუკა; პერსონაჟის რუკა; თხრობის ჩარჩო, პერსონაჟის რუკა) ; ყველა კურიკულუმში მითითებულია თემებთან და საკითხებთან შესაბამისი ლინკები. პედაგოგთა მიერ წარმოდგენილი რეფლექსიები გვიჩვენებს , რომ მათი გამოყენება ხდება მიზნობრივად და შედეგიანად; **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლაში დამხმარე მასალებს საგნობრივი კათედრები არჩევენ და განიხილავენ. ეს პროცესი ეხმარებათ იმაში, რომ გამოყენებული რესურსები ზუსტად პასუხობდეს ეროვნული

	სასწავლო გეგმის მიზნებსა და საგნის პრიორიტეტებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და მასწავლებელთან ინტერვიუს საფუძველზე, ჩანს რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწვალო რესურსის ვალიდაციას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სასკოლო დოკუმენტაციისა და კათედრის ოქმების ანალიზით დასტურდება, რომ სკოლაში მოქმედებს დამხმარე რესურსების შერჩევა-ვალიდაციის ქმედითი მექანიზმი. კრიტერიუმის შესრულება მტკიცდება შემდეგი ფაქტორებით: სასწავლო წლის დაწყებისას (რაც დასტურდება N1 ოქმით) საგნობრივი კათედრა კოლეგიალურად განიხილავს და ამტკიცებს საგაკვეთილო პროცესისთვის საჭირო დამხმარე რესურსებს, მათ შორის, უშუალოდ პედაგოგების მიერ შექმნილ ციფრულ მასალებს. ვალიდაციის პროცესი მკაცრად ამოწმებს ორ მთავარ პირობას — დამხმარე რესურსი უნდა ემსახურებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევას და მისი შინაარსი არ უნდა შეიცავდეს რაიმე სახის დისკრიმინაციულ ან არაკორექტულ ელემენტს. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნები დამაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია დასტურდება საგნობრივი კათედრების ოქმებში . **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ძირითადი და დამხმარე რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე შეთანხმებულად, მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე ორიენტირებით, გათვალისწინებულია რესურსების სანდოობა და მიზნობრიობა. მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერები, ინტერნეტი, პროექტორი, ელექტრონული რესურსები. ფუნქციონირებს საბუნებიმეტყველო ლაბორატორია **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკურ-მატერიალური რესურსით, რომელიც საჭიროა სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისთვის. სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტით, კომპიუტერებით, მონიტორებით, პროექტორებით, რაც საშუალებას იძლევა სასწავლო პროცესში გამოყენებული იქნას კურიკულუმებში წარმოდგენილი ძირითადი და დამატებითი ციფრული რესურსები და სასწავლო პროცესი მორგებული იყოს მოსწავლეთა ინტერესებზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლაში უცხოური ენების, სწავლება ხორციელდება ისეთი მატერიალური ბაზის პირობებში, რაც ხელს უწყობს კურიკულუმში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლებისათვის გამოყენებული სახელმძღვანელოები და მათთან დაკავშირებული ვიზუალური, აუდიო, წერითი და ელექტრონული, ციფრული პლატფორმები და რესურსები სრულად შეესაბამება ეროვნული გეგმით გათვალისწინებულ მიზნებსა და მოსალოდნელ

	შედეგებს. საგაკვეთილო პროცესისთვის სკოლა უზრუნველყოფს: ვიზუალური მასალებით (პოსტერები, ბარათები); ციფრული რესურსებით სარგებლობის შესაძლებლობას (ინტერნეტი, კომპიუტერი/პროექტორი); ინდივიდუალური და წყვილებში/ჯგუფებში მუშაობისთვის აუცილებელი გარემოს უზრუნველყოფას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მაერიალური რესურსით. სასწავლო გარემო აღჭურვილია თანამედროვე საგანმანათლებლო ინვენტარითა და ტექნიკური საშუალებებით, რაც ხელს უწყობს სწავლის პროცესის ეფექტიან წარმართვას. ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, რაც შესაძლებელს ხდის თითოეული მოსწავლისთვის ხარისხიანი განათლების მიღებას, ინდივიდუალური მიდგომის გამოყენებას და უსაფრთხო, კომფორტული სასწავლო გარემოს შექმნას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის სამივე საფეხურზე სკოლას უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალური რესურსებით. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სამივე საფეხურის პედაგოგები სისტემატურად უზიარებენ ერთმანეთს სწავლის პროცესთან დაკავშირებულ მოსაზრებებს. ისინი , აგრეთვე , ათანხმებენ ყველა საჭირო საკითხსა თუ რესურსს. გარდა ამისა, მჭიდროდ თანამშრომლობენ მშობლებთანაც, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში. ამას მოწმობს ,,მშობლთა საბჭოს“ მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია, რომელიც წარმოდგენილია ოქმების სახით. ნათელია, რომ სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალური რესურსით, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის .

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
მათემატიკა	მათემატიკის კათედრა უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. სასწავლო გარემო და რესურსები ორგანიზებულია მოსწავლეთა ზღვრული ოდენობის ფარგლებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. მასწავლებლები ითვალისწინებენ ბავშვების ზღვრულ რაოდენობას გაკვეთილის პროცესის დროს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სასკოლო დოკუმენტაციის ანალიზით და ასევე ინტერვიუდან დასტურდება, რომ სკოლა სრულად არის უზრუნველყოფილი კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად საჭირო ინფრასტრუქტურით. კრიტერიუმის შესრულება დასტურდება შემდეგი ფაქტორებით: სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია 25 პერსონალური კომპიუტერით. გაკვეთილზე თითოეულ მოსწავლეს აქვს კომპიუტერთან ინდივიდუალური წვდომის შესაძლებლობა, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია პრაქტიკული და კომპლექსური დავალებების (პროგრამირება, პრეზენტაციების შექმნა, მონაცემთა დამუშავება) შესასრულებლად. საგნის პედაგოგი უზრუნველყოფილია ინდივიდუალური პერსონალური კომპიუტერითა და პროექტორით, რაც მას აძლევს სასწავლო მასალის დემონსტრირებისა და ეფექტური ინსტრუქტაჟის შესაძლებლობას. ტექნიკა უზრუნველყოფილია ინტერნეტით და კურიკულუმისთვის საჭირო პროგრამული რესურსებით (ბრაუზერები, MS Office და სხვ.), რაც უზრუნველყოფს სწავლის

	შედეგებზე შეუფერხებელ გასვლას. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნები დამაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმით გათვალისწინებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისი კვალიფიკაციური ადამიანური რესურსი. სკოლა უზრუნველყოფს, რომ კურიკულუმის წარმატებული განხორციელებისთვის საჭირო ყველა ადამიანური რესურსი სრულად შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *„ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“, სკოლა-გიმნაზიის რექტორის 2024 წლის 15 აგვისტოს N 03/23 ბრძანება;*
- *„ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიაში 2025-2026 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ორგანიზების შესახებ" , სკოლა-გიმნაზიის რექტორის 2025 წლის 10 სექტემბრის N 03/29 ბრძანება;*
- *სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ;*

- *შემოქმედებითი დავალებები და მათი ამსახველი ფოტო-მასალა;*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *კათედრის სხდომის ოქმები;*
- *გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმები, უკუკავშირი, რეფლექსია;*
- *სადამრიგებლო პროგრამები;*
- *მშობელთა კრების ოქმები;*
- *მასწავლებელთა პირადი საქმეები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია ის, თუ როგორ, რა საშუალებებით ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. მონიტორინგის ფარგლებში ხდება კურიკულუმის დაგეგმვისა და განხორციელების ძლიერი მხარეების გამოყოფა და იმ გამოწვევებისა და ასპექტების იდენტიფიცირება, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას. ამ ეტაპზე სკოლაში კურიკულუმის განხორციელების პროცესში მონიტორინგის მიზნით ხდება პროცესზე დაკვირვება, კათედრაზე პედაგოგთა ურთიერთდასწრები და ასევე შემაჯამებლების ანალიზი. სკოლა-გიმნაზიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულება ყოველი ახალი სასწავლო წელის დაგეგმვისას ითვალისწინებს გასული სასწავლო წლის შედეგების ანალიზის. მონიტორინგის და შეფასების პროცესში აქტიურად ჩართულია სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგიური საბჭოს წევრები და საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიაში მონიტორინგი და შეფასება გამოიყენება შემდგომი პროცესის დასაგეგმად და პროცესების გასაუმჯობესებლად. ამ მიზნით სკოლაში დანერგილი პრაქტიკაა გაკვეთილებზე დასწრება, რეფლექსია და უკუკავშირის გაცემა, რომელიც ორიენტირებულია მხარდაჭერაზე და განვითარებაზე. სამივე საფეხურის მასწავლებლები სასწავლო პროცესს გეგმავენ მოსწავლეთა ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით, კათედრები ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, საგნების მიხედვით ერთობლივად, ერთმანეთის აზრისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, ქმნიან სამოქმედო გეგმებს, მუშაობენ კურიკულუმების ფორმირებაზე, განსაზღვრავენ დამატებით რესურსებს, თემის ფარგლებში საკითხებს და შემაჯამებელ და შემოქმედებით პროდუქტებს, რომლებიც მორგებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობაზე. სასწავლო პროცესზე დაკვირვებით, მიზნობრივი ინტერვიუებითა და და გამოკითხვის მონაცემთა ანალიზით იგეგმება კონკრეტული ინტერვენციები. მიღებული შედეგების საფუძველზე იკვეთება პრიორიტეტული აქტივობები, რომლებიც არსებული გამოწვევისა თუ პრობლემის გადაჭრას ემსახურება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიაში მონიტორინგი და შეფასება მიმართულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერას და დახმარებას. საგნობრივ კათედრებზე თუ წყვილებში მასწავლებლები ერთმანეთთან თანამშრომლობით მუდმივად უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და იღებენ უკუკავშირს, გარდა ამისა, პერიოდულად, კრიტიკული მეგობრის სახით ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილზე. კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების სხვადასხვა ფორმები, როგორიცაა შემაჯამებლების ანალიზი, წერები, ურთიერთ დასწრებები, თვითშეფასება და ურთერთშეფასება, ქმნის შესაბამის გარემოს, სადაც როგორც მასწავლებლებს, ისე მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა განიხილონ არსებული გამოწვევები და დაგეგმონ ინტერვენციული ნაბიჯები არსებული პრობლემებისა თუ გამოწვევების აღმოსაფხვრელად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *„ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“, სკოლა-გიმნაზიის რექტორის 2024 წლის 15 აგვისტოს N 03/23 ბრძანება;*
- *„ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიაში 2025-2026 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ორგანიზების შესახებ", სკოლა-გიმნაზიის რექტორის 2025 წლის 10 სექტემბრის N03/29 ბრძანება;*
- *„ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების შესახებ“, სკოლა-გიმნაზიის რექტორის 2024 წლის 5 დეკემბრის N 03/42 ბრძანება;*
- *საგნობრივი კათედრების ოქმები;*
- *სამივე საფეხურის კურიკულუმები;*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *შემაჯამებელი დავალებების ანალიზები;*
- *გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმები, უკუკავშირი, რეფლექსია.*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლა-გიმნაზიაში თემატური გეგმები თითოეული საგნის ჭრილში ისეა სტრუქტურირებული, რომ უზრუნველყოფს შეფასების მრავალფეროვანი სტილის ინტეგრირებულ გამოყენებას. აღნიშნული მიდგომა მოიცავს, როგორც მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და ნამუშევრების ანალიზს, ისე პედაგოგიურ დაკვირვებებს, თვითშეფასების ინსტრუმენტებსა და მშობელთა უკუკავშირს. ამასთანავე, კათედრების მიერ შემუშავებულია შეფასების ინსტრუმენტები. სასწავლო წლის დასასრულს, კთედრები აანალიზებენ განხორციელებულ აქტივობებს და აფორმებენ შესაბამის ანგარიშს, რის საფუძველზეც ყალიბდება სამომავლო რეკომენდაციები. თავის მხრივ, სკოლა-გიმნაზიის ადმინისტრაცია აკვირდება პედაგოგიურ პროცესს და ეფექტიანი უუკავშირით ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლა-გიმნაზია შეფასებისას ითვალისწინებს მოსწავლის სოციალურ და ფსიქოემოციურ მდგომარეობას, რის შესახებაც სისტემატიურად იღებს ინფორმაციას კლასის ხელმძღვანელებისა და საგნის მასწავლებლებისგან. სასწავლო პროცესის შეფასების მექანიზმები ორიენტირებულია დასახულ მიზნებზე, კონკრეტული კონტექსტისა და მონაცემთა შეგროვების ოპტიმალურ ვადებზე, რაც მიღებული ინფორმაციის ვალიდურობასა და სანდოობას განაპირობებს. მონაცემთა ობიექტურობის უზრუნველსაყოფად, ერთი და იმავე პრობლემატიკის ირგვლივ ინფორმაციის მიღება ხდება სხვადასხვა წყაროდან, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. მონაცემთა შეგროვება მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრებთან, სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით.
ასევე, სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება იმის გათვალისწინებით, თუ რამდენადაა მოსწავლე ჩართული სწავლების პროცესში, დისკუსიაში, ჯგუფურ თუ ინდივიდუალურ მუშაობაში პრეზენტაციის წარმართვისას. ასევე

მნიშვნელოვანია, რამდენად მონაწილეობს მოსწავლე არაფორმალურ აქტივობებში, კლუბურ მუშაობაში, სასკოლო ღონისძიებებში, ოლიმპიადებში და სკოლაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესებში.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზია შეფასებისას იყენებს ისეთ მეთოდებს, როგორებიცაა: დაკვირვება, გამოკითხვა, ინტერვიუ და სხ.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სასწავლო პროცესის შესაფასებლად სკოლა-გიმნაზია აანალიზებს ფილოსოფიას და ამოწმებს, რამდენად შეესაბამება მას არსებული პრაქტიკა. ამისათვის დეტალურად განიხილება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება და შემაჯამებელი დავალებების შედეგები. გარდა ამისა , სკოლა ამოწმებს რამდენად ეფექტურია სასწავლო პროცესში გამოყენებული სწავლის სტრატეგიები, დამხმარე სასწავლო რესურსი, სკოლის მატერიალური რესურსი და შეთავაზებული სერვისები.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *„ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“, სკოლა-გიმნაზიის რექტორის 2024 წლის 15 აგვისტოს N 03/23 ბრძანება;*
- *„ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიაში 2025-2026 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ორგანიზების შესახებ", სკოლა-გიმნაზიის რექტორის 2025 წლის 10 სექტემბრის N 03/29 ბრძანება;*
- *„ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების შესახებ“, სკოლა-გიმნაზიის რექტორის 2024 წლის 5 დეკემბრის N 03/42 ბრძანება;*

- *საგნობრივი კათედრების ოქმები;*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *შემაჯამებელი დავალებების ანალიზები;*
- *საგნობრივი კურიკულუმების რევიზია;*
- *გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმები, უკუკავშირი, რეფლექსია.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის გასულ სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. სკოლა-გიმნაზია მთელი წლის განმავლობაში სწავლობს დანერგვის პროცესს, აგროვებენ მონაცემებს, აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე, განიხილავენ პრობლემის გადაჭრის გზებს და აღნიშნული ინფორმაციის შეფასების შემდეგ იქმნება კურიკულუმის განვითარების სარეკომენდაციო პაკეტი.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინა წლის გამოცდილებას, მასწავლებლები ინდივიდუალურად და შემდგომ უკვე საგნობრივ კათედრებზე შეხვედრისას ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, ეს გამოცდილება აისახება, როგორც კლასის ასევე საფეხურის დონეზე. ახალი კურიკულუმების შედგენისას გათვალისწინებულია ის სირთულეები, რომელიც მის დანერგვის პროცესში შეიქმნა. საგნობრივი ჯგუფები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და ეწევიან კოორდინირებულ მუშაობას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს ოქმები;*
- *საგნობრივი კურიკულუმების რევიზიის ამსახველი მასალა;*
- *გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმები, უკუკავშირი, რეფლექსია;*
- *მასწავლებელთა ანგარიშები.*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*

○ *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი 02.07.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი ნოდარ ანგურიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სოფიკო ბოქოლიშვილი

ხათუნა ნოზაძე 

ნიკა უთალიშვილი 

ელენე გაფრინდაშვილი

მადონა ბობოხიძე

ლაშა სარალიძე

ხათუნა ქერაშვილი

შაქრო ჟღენტი

გიორგი კოპლატაძე

ნათია კოხოძე